შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№27 (10.132)

3—10 აგვისტო 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მეორე ოლიმპიური ოქრო დედოფლისწყაროში მოდის

31 ივლისს დედოფლისწყაროელი ძიუდოისტი ლაშა ბექაური კიდევ ერთხელ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. ის პირველი ქართველი ძიუდოისტია, რომელმაც ორჯერ მოიგო ოლიმპიური თამაშები. პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე მეორე ოქროს მედლის მოპოვებით ბექაური ყველაზე ახალგაზრდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია ძიუდოში!

24 წლის ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ლაშა ბექაურმა**, რომელიც 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში ასპარეზობს, პარიზში „შამპ-დე-მარს არენის“ ტატამიზე საოცარი სანახაობა აჩვენა. პირველი ბრძოლა მან ***ბულგარელ* ივაილო ივანოვთან** გამართა, რომელიც ვაზარით დაამარცხა და ზედმეტი დაძაბვის გარეშე მეოთხედფინალში მოხვდა.

მეორე ბრძოლაში ***სამხრეთ კორეელ* ჯუიეოპ ჰანს** დაუპირისპირდა. ლაშა თავიდანვე ძალიან აქტიური იყო და წუთის შემდეგ მეტოქეს ჯერ შიდო მიაღებინა, შემდეგ კი ბეჭებზე დააგდო, წუთნახევარში იპონი დააფიქსირა და ნახევარფინალში გზა გაიკვალა.

ნახევარფინალში ის ***ესპანეთის*** სახელით მოასპარეზე **ტრისტან მოსახლიშვილს** შეხვდა, რომელმაც მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე ბრინჯაო მოიპოვა. მოსახლიშვილი 2022 წელს, ტაშკენტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში დამარცხდა ოლიმპიურ ჩემპიონთან, ლაშა ბექაურთან. ახლაც იგივე განმეორდა, პარიზის ოლიმპიადაზე ბექაურთან ნახევარფინალში ბრძოლისას დამარცხდა. ნახევარფინალში შეხვედრა ფრთხილი გამოდგა და მეტოქეებს წუთნახევრის შემდეგ უკვე ორ-რი შიდო ჰქონდათ. ლაშა აქტიურობდა, მაგრამ ძირითადი დროის მიწურულს რამდენიმე გდება არ შუეფასეს. შეხვედრა დამატებით დროში გადავიდა, სადაც 36-ე წამზე

მოსახლიშვილს მესამე შიდო მაინც მისცეს, ეს კი მეტოქისთვის წითელ ბარათს უდრიდა და ფინალში ბრძოლის შანსიც ბექაურს დარჩა.

ფინალური დაპირისპირება დაძაბულად, თუმცა ***იაპონელის* სანშირო მურაოს** მცირე უპირატესობით წარიმართა. მეტოქემ ბექაური პირველ წუთზე ვაზარზე დააგდო და შიდოც მიაღებინა. ლაშამ შეხვედრის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე შეძლო ვაზარით გათანაბრება, 4 წამით ადრე კი, სულაც გამარჯვების მომტანი გდება შეასრულა. ამით კი მეორედ დაისაკუთრა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება და წლევანდელ ოლიმპიადაზე საქართველოს პირველი ოქრო მიაღებინა.

ლაშა ბექაური: „წარმომიდგენია საქართველოში რა ხდება და სიზმარში მგონია თავი. დაუჯერებელია, რომ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვარ! მადლობა ყველას გულშემატკივრობისთვის და იმედია ბედნიერები ხართ, რომ ამ ქვეყნის შვილი ვარ. კიდევ ერთი ისტორია დაიწერა. ყველას მადლობა, ვინც ჩემი წარმატებისთვის ლოცულობდა, ვიცი, რომ ბევრი მოძღვარი აღავლენდა ლოცვას. **მინდა ჩემმა ხალხმა იცოდეს, რომ ის ქართული გენი, რითაც დღემდე მოვედით, ისევ ცოცხლობს და მიხარია, რომ ჩემში ეს ყველაფერი თავმოყრილია. ეს ყველაფერი თქვენ გეძღვნებათ! ეს ისტორიული ოქროს მედალი თქვენია და გულში მიყვარხართ!.. მადლობა უფალს, რომ ამომირჩია და შემაძლებინა ორჯერ მომეპოვებინა ოლიმპიური ოქრო.** ღმერთის წყალობის გარეშე ასეთი დიდი მოვლენები არ ხდება და მადლობელი ვარ უფლის. ასევე, მადლობა ჩემს ხალხს, ვიცი, რომ უბედნიერესია ჩემი სამშობლო და ამისი მიზეზი მე ვარ!... პატრიოტი ქართველი კაცისთვის ამაზე მაგარი არაფერია. ძალიან რთული შეჯიბრებები იყო, არ არის მარტივი, იომო სისხლის ბოლო წვეთამდე. მაგრამ, ყველაფერი კარგი რთულად მისაღწევია“.

პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ლაშა ბექაურის ფინალურ ბრძოლას წნორი-ბაკურციხის ახალი მაგისტრალის გახსნის ცერემონიაზე, დიდ ეკრანზე უყურეს, შემდეგ კი ოლიმპიურ ჩემპიონს დაურეკეს და გამარჯვება მიულოცეს. საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ოქროს მედლის შემთხვევაში ოლიმპიურ ჩემპიონს 1 მილიონი ლარი გადაეცემა. პირობის თანახმად, არხილოსკალოელი ბექაური ჯამში 4 ოლიმპიური ოქროს აღებას გეგმავს.

ილია მარტყოფლიშვილი



პარლამენტის თავმჯდომარე ელიაობას დაესწრო

2 აგვისტოს ელიაობაა, თითოეული დედოფლისწყაროელისთვის გამორჩეულად საყვარელი დღე. დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, პარლამენტის წევრი დავით სონღულაშვილი და კახეთის მხარეში სამხარეო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი დედოფლისწყაროს ეწვივნენ და მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნუგზარ პაპიაშვილთან ერთად წმ. ელია თეზბიტელის სახელობის ტაძარში საზეიმო წირვას დაესწრნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროელებს ტრადიციული სახალხო დღესასწაული მიულოცეს.

გილოცავთ ელიაობას !

ცვლილებები, რომელიც საქართველოში 1 აგვისტოდან ამოქმედდა

პირველი აგვისტოდან საქართველოში რამდენიმე ცვლილება ამოქმედდა:

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა“ რეესტრი

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების უფლება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიენიჭა. იუსტიციის სამინისტროს ბრძანებით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში იქმნება ფინანსური დეკლარირების დეპარტამენტი, რომელსაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება დაევალება.

ამასთანავე, ზემოთ აღნიშნულ რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულო ხდება ყველა იმ არასამთავრობო და მედია ორგანიზაციისთვის, რომელთა შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოეთიდან არის მიღებული.

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისთვის თავის არიდება ან დეკლარაციის არშევსება გამოიწვევს ორგანიზაციის დაჯარიმებას 25 ათასი ლარის ოდენობით. კანონით, ასევე, გათვალისწინებულია შემდეგი სახის ჯარიმები: - იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე დაშვებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, თუ ორგანიზაცია არ შეავსებს განაცხადის ფორმას - 10 ათასი ლარი; დოკუმენტებში ხარვეზების განსაზღვრულ ვადაში არგამოსწორების შემთხვევაში - 10 ათასი ლარი; კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი თვის შემდეგ ჩადენა - 20 ათასი ლარი.

დაუფასოებელ სურსათზე წარმოშობის ქვეყნის მითითება სავალდებულო ხდება

პირველი აგვისტოდან ამოქმედდა „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ ტექნიკურ რეგლამენტში შესული ცვლილება, რომელიც დაუფასოებელ სურსათს შეეხო.

კერძოდ, განისაზღვრა ის ინფორმაცია, რომლის დაუფასოებელ სურსათზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებაც სავალდებულო ხდება.

სავალდებულო იქნება სურსათზე პროდუქციის დასახელების, ალერგიის გამომწვევი ან მომეტებული მგრძნობელობის ნივთიერებების შემცველი პროდუქტის ინგრედიენტების და წარმოშობის ქვეყნის მითითება.

ცნობისთვის, აქამდე წარმოშობის ქვეყნის მითითება მხოლოდ ხორცზე იყო სავალდებულო, განხორციელებული ცვლილებებით კი პირველი აგვისტოდან ყველა სახის სურსათისთვის სავალდებულო გახდა.

კვლავ აკრძალული იქნება რუსეთიდან ბენზინის ექსპორტი

კვლავ აკრძალული იქნება რუსეთიდან ბენზინის ექსპორტი. როგორც ცნობილია ამ ეტაპზე, შეზღუდვა ოქტომბრის ბოლომდე იმოქმედებს. ამ ცვლილებას კი შესაძლოა, გარკვეული გავლენა საქართველოზეც ჰქონდეს.

ცნობისთვის, რუსეთი საქართველოსთვის საწვავის ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორია და სწორედ მასზე მოდის საწვავის იმპორტის თითქმის 53%. ნავთობიმპორტიორების ნაწილის შეფასებით, საქართველოსთვის რუსეთის ბაზარი ყველაზე იაფია, შესაბამისად, რუსეთის მიერ აკრძალვის ამოქმედება უარყოფითად იმოქმედებს საწვავის ფასებზე. თუმცა, ნაწილი თვლის რომ ამას არსებითი გავლენა ქართულ ბაზარზე არ ექნება.

შეგახსენებთ, რომ რუსეთიდან ბენზინის ექსპორტი 2023 წლის 21 სექტემბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით გასულ წელსაც აიკრძალა, რათა საავტომობილო საწვავის შიდა ბაზარზე ფასები დასტაბილურებულიყო. რუსეთმა აკრძალვა მეორედ 2024 წლის პირველ მარტს აამოქმედა. თუმცა, 20 მაისს მთავრობამ საზღვარგარეთ ბენზინის მიწოდება ჯერ ივნისის ბოლომდე, შემდეგ კი ივლისშიც დროებით განაახლა, რაც წარმოების ნაწილობრივი აღდგენის ფონზე მოხდა.

გიორგი სარდალაშვილის უშედეგო მცდელობა ოლიმპიადაზე

27 ივლისს ოლიმპიური თამაშების პირველივე დღეს ძიუდოს შეჯიბრი საქართველოს დელეგაციიდან 21 წლის გიორგი სარდალაშვილმა გახსნა. ის დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროდანაა. პირველი გამოსვლა ყოველთვის დამატებით სირთულეებთანაა დაკავშირებული. მსოფლიო ჩემპიონმა —60 კგ წონით კატეგორიაში ჯამში 4 ბრძოლა გამართა, საიდანაც ორი მოიგო, ორიც წააგო.

პირველივე ასპარეზობის დროს, მერვედფინალში გიორგი სარდალაშვილმა კონგოელ არნოლდ კისოკას მახრჩობელა ილეთით მოუგო, და აშკარა უპირატესობით 2 წუთში სძლია. პირველი ქულა დასაწყისშივე მოიპოვა, ხოლო მალევე ვაზარით მოიგო და 11—0 დაამარცხა და მეოთხედფინალში მოხვდა.

მეოთხედფინალში სარდალაშვილი თურქ სალიჰ ილდიზთან დამატებით დროში დამარცხდა. ის მეტოქემ შებოჭა და ვაზარით წააგო. თუმცა, წაგების მიუხედავად, წესების თანახმად რეპეშაჟში ასპარეზობის გაგრძელების საშუალება ჰქონდა, რათა სხვა სინჯის მედლებისთვის ებრძოლა.

ამჯერად მან სამხრეთ კორეელი ვონ ჯინ კიმი პირველივე წუთებში იპონით უშანსოდ დაამარცხა და ოლიმპიური ბრინჯაოს მედლისთვის საბრძოლველად დაწინაურდა.

ბოლო ბრძოლა ესპანელ ფრანსისკო გარიგოსთან გამართა. მისი მეტოქე სახელოვანი ესპანელი ძიუდოისიტი ფრანსისკო გარიგოსი იყო. გარიგოსი მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონია (მოქმედი ჩემპიონი სარდალაშვილია) და ევროპის 3-გზის ჩემპიონი. ძირითადი დრო ისე დასრულდა, ორი შიდო ესპანელს ჰქონდა, ერთი - ქართველს. დამატებითში, მე-19 წამზე-ვე გარიგოსმა ტომოე-ნაგეთი ვაზარი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ქართველი სპორტსმენი კი უმედლოდ დარჩა.

გიორგი სარდალაშვილი: „ბავშვობაში, როცა მქონდა რთული პერიოდი, იმ დროს დავისახე მიზანი, რომ გავმხდარიყავი ოლიმპიური ჩემპიონი. მე არ მაქვს ოცნებები, მე მაქვს მიზნები! რისი მიღწევაც შემიძლია, მას ვერ დავარქმევ ოცნებას. სავარჯიშოდ რუსთავიდან თბილისში დავდიოდი ყოველდღიურად, ამიტომ მწვრთნელები მტოვებდნენ ბაზაზე სასტუმროში, რადგან უფრო მეტი მევარჯიშა. მათ ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს წარმატებაში და მადლიერი ვარ მათი. სამწუხაროდ, ჩემი ბავშვობის ნანატრი ოქროს მედალი ვერ მოვიპოვე. იყო ბევრი დაბრკოლება, მაგრამ ეს ცხოვრებაა და მე არ გავურბივარ სირთულეს. ამ



სპორტს ყოველდღიურად ვუთმობ 100%-ს, ამიტომ ეს ისე არ ჩაივლის, რომ ჩემი სურვილების 100% არ დავიკმაყოფილო. ყველაფერი კარგად იქნება! გამომიცდია მარცხი და ყოველთვის ვგრძნობ, რომ ღმერთი უკეთესისთვის მამზადებს!“

რთველი წელსაც სუბსიდირდება

რთველის სუბსიდირება მიმდინარე წელსაც განხორციელდება. მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ის კომპანია, რომელიც 2024 წლის რთველის განმავლობაში შეიძენს და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენს და შესყიდული 1 კგ ყურძნის სანაცვლოდ ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ 1 ლარს,“ - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი განმარტებით, ჩვენ ქვეყანაში მევენახეობა, მეღვინეობა წლიდან წლამდე ვითარდება, ამ დარგის მიმართ სახელმწიფოს მხარდაჭერა არის ძალიან დიდი. კობახიძის თქმით, ამ მხარდაჭერის შედეგად გაშენდა ახალი ვენახები, შეიქმნა ახალი საწარმოები, ვენახების კადასტრი, გაუმჯობესდა ღვინის ხარისხი.

„საექსპერტო ბაზრების არეალი ძალიან მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამ წლების განმავლობაში და რეკორდულ რაოდენობამდე გაიზარდა ღვინის ექსპორტი, ღვინის მოსავალი. მუშაობს აგროკრედიტის და აგროდაზღვევის სისტემა, ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს დარგი წლიდან წლამდე განვითარდეს. ამისთვის განსაკუთრებული მადლობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და სამინისტროს. რაც შეეხება უშუალოდ რთველს, გვაქვს ძალიან კარგი მონაცემები, 2024 წელს ყურძნის საპროგნოზო მოსავალი შეადგენს დაახლოებით, 300 0000 ტონას, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფომ მიიღოს ყველა ზომა იმისთვის, რომ მოსავალი სათანადოდ დაბინავდეს, მოხდეს ამ მოსავლის სათანადოდ რეალიზაცია. რთველის სუბსიდირება მიმდინარე წელსაც განხორციელდება, იმისთვის, რომ მოსავალი სრულად დაბინავდეს და ფერმერებმა ადეკვატური შემოსავალი მიიღონ. ასევე, ღვინის ინდუსტრიამ შეძლოს ბოლო წლების სტაბილური განვითარების შენარჩუნება, სახელმწიფო განახორციელებს ფინანსურ ინტერვენციას. 20 000-ზე მეტ მევენახეს მოსავლის რეალიზაციის საშუალება მიეცემა. ამ ყველაფრის საფუძველზე, ასევე, რთველში ჩართულ 500-მდე კომპანიას ექნება იმის საშუალება, რომ ყურძნის შეუფერხებლად შესყიდვა-გადამუშავება განახორციელოს. ეს არის, რა თქმა უნდა, სუბსიდიის ამოცანა. მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ის კომპანია, რომელიც 2024 წლის რთველის განმავლობაში შეიძენს და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენს და შესყიდული 1 კგ ყურძნის სანაცვლოდ ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ 1 ლარს.

კახეთის რეგიონში მევენახის მიერ მოწეული ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია შეადგენს 1 კგ რქაწითელზე 20 თეთრს. საკოორდინაციო შტაბი გაიხსნება იმისთვის, რომ ორგანიზებულად მოხდეს მოსავლის ჩაბარება“, - განაცხადა კობახიძემ.

მისი თქმით, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ „დავეხმაროთ ჩვენს ფერმერებს და ასევე, შესაბამის კომპანიებს“.

„მინდა შეგახსენოთ ის მონაცემები, რომელიც ჩვენ გვქონდა 2012 წელს და რამხელა იყო ზრდა 2012 წლის შემდეგ. 2012 წელს გადამუშავდა სულ 52 000 ტონა ყურძენი. ხოლო, 2023 წელს გადამუშავებული ყურძნის მოსავალმა შეადგინა 221 000 ტონაზე მეტი. ამ თვალსაზრისით, გვაქვს ძალიან დიდი ზრდა. რაც შეეხება შემოსავლებს, 2012 წლამდე მევენახეების შემოსავალი ჯამურად შეადგენდა დაახლოებით 50 მილიონ ლარს. 2023 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა უკვე 300 მილიონ ლარზე, 306 მილიონი ლარი იყო ზუსტად შემოსავალი და წელს, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. კადასტრის ეროვნული პროგრამის მონაცემებით, რომელიც განხორციელდა 2014-23 წლებში, დღეისთვის ვენახების ფართობი ქვეყნის მასშტაბით არის გაორმაგებული. მევენახეობის რეგიონებში გაშენებული გაშენებულია 50 000 ჰექტრამდე ახალი ვენახი, ესეც მიუთითებს ძალიან სერიოზულ წინსვლაზე ამ დარგში. 2012 წელს რეგისტრირებული იყო სულ 40კომპანია, რომელიც აწარმოებდა ღვინოს ჩვენ ქვეყანაში, დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებული კომპანიების საშუალო და მცირე მარნების რაოდენობა 3 000 აღწევს. აქედან, 500-მდე მწარმოებელი ღვინოს ექსპორტსაც ახორციელებს. ექსპორტის მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა შარშან, მსოფლიოს 66 ქვეყანაში, შარშან ექსპორტირებული იყო 260 მლნ დოლარის ღირებულების ღვინო“, - განაცხადა კობახიძემ მთავრობის სხდომაზე.

გამორიცხავს თუ არა გაყალბებას ახალი ტექნოლოგიები?

26 ოქტომბერს ამომრჩეველთა 90%-ზე მეტი ხმას ელექტრონულად მისცემს

„საარჩევნო ტექნოლოგიების საყოველთაო დემონსტრირება 28 ივლისს დასრულდა, რომლის მიზანი იყო ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირება და ხმის მიცემის პროცედურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. 26 ოქტომბერს ამომრჩეველთა თითქმის 90% ხმას სწორედ ამ ელექტრონული აპარატების გამოყენებით მისცემს. მმართველი პარტია აცხადებს, რომ ახალი ტექნოლოგიები გაყალბებას გამორიცხავს, თუმცა, ოპოზიციას კითხვები აქვს. ახალმა ტექნოლოგიებმა ტესტირება 6-28 ივლისის პერიოდში 64 მუნიციპალიტეტში გაიარა, პროექტი აღნიშნული პერიოდის ყოველ შაბათ-კვირას, ნებისმიერ მსურველს საშუალებას აძლევდა შეერჩია მისთვის სასურველი ლოკაცია, მონაწილეობა მიეღო იმიტირებულ კენჭისყრაში და ენახა, თუ როგორ მუშაობს საარჩევნო ელექტრონული სისტემა. ანალიტიკოსი გია აბაშიძე აცხადებს, რომ ახალ ტექნოლოგიებს არაერთი თავდაცვითი მექანიზმი აქვს, რაც გაყალბებას თითქმის სრულიად გამორიცხავს. მისი თქმით, დამთავრდება სპეკულაციები ეგზიტპოლებზე და ხმების პარალელურ დათვლებზე. კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე კი თვლის, რომ რამდენიმე კითხვის ნიშანი არსებობს, მათ შორის ის თუ პირადობის მოწმობის რეგისტრაციისას, პროგრამა მხოლოდ იმას ამოწმებს, ეს პირი არის თუ არა უბნის ამომრჩეველთა სიაში, მაგრამ არ აკეთებს ამომრჩევლის იდენტიფიცირებას მისი ბიოლოგიური პარამეტრებით - სახის, თვალის, ან თითის ანაბეჭდის იდენტიფიცირებით. ამიტომ, მისი თქმით, დამკვირვებლებისგან თუ კომისიის წევრებისგან პირველ რიგში შესამოწმებელი იქნება ის, რომ პირადობის მოწმობის წარმდგენი მართლა ის პირია, თუ სხვისი პირადობის მოწმობა აქვს ხელში.

„საქართველოს ისტორიაში ეს უნიკალური არჩევნებია, როცა პირველად საარჩევნო უბნების 90%-ზე მეტი ხმას ელექტრონულად მისცემს. საერთაშორისო კომპანიის ორი სხვადასხვა აპარატია - ერთია რეგისტრატორი, მეორე, ელექტრონული საარჩევნო ყუთი, სადაც ბიულეტენის შეცურება მოხდება. რაც მთავარია, საარჩევნო ყუთი ინდივიდუალურად ფუნქციონირებადია და ინტერნეტთან არანაირად არაა შეერთებული, რაც ჰაკერულ თავდასხმას გამორიცხავს. ბიულეტენებს ორნაირად ითვლიან, ერთია ელექტრონულად, რომელიც 8 საათის მერე საერთო სურათს აჩვენებს, მერე ამ ე.წ. ჩეკის მერე, ჩაგდებული ბიულეტენების ხელით ითვლება, კომისიის წევრების მიერ. იქ ყველაფერი გამოჩნდება, რომელ პარტიას მისცეს ხმა და რომელი ბიულეტენია გაფუჭებული. მთვლელი იმითაცაა უნიკალური, რომ შეუძლებელია სხვა ამომრჩეველი სხვა უბანზე მივიდეს, აპარატი ხმოვან სიგნალს იძლევა, რომელიც რეგისტრატორს აქვს და ეს ელექტრინული პირადობის მოწმობით უნდა დაფიქსირდეს, ანუ აქ ე.წ. კარუსელები გამორიცხულია. ასეთი თავდაცვითი მექანიზმები არაერთია და მე პირადად მინახავს თუ შუალედურ არჩევნებში (ფოთში და ვანში) ეს სისტემა როგორ მუშაობდა. საკმაოდ ეფექტურია და ნებისმიერი ამომრჩევლისთვის გასაგები. ბიულეტენი კი არ უნდა შემოხაზო, არამედ პატარა წრე უნდა გააფერადო, რასაც მთვლელი კითხულობს", - აცხადებს გია აბაშიძე.

„ცესკომ გიგანტური შრომა გასწია, უწყება არ დარჩა, კერძო თუ საჯარო სექტორი, სადაც ცესკოს ხელმძღვანელობა არ წავიდა და არ ჩაატარა პირობითი არჩევნები. 99.99% არანაირი ხარვეზი არ აქვს, თუ უბანზე ელექტროენერგია გაითიშა, სისტემა მაინც მუშაობს. ეს საქართველოში მანამდეც უნდა ყოფილიყო, ძალიან ეფექტურია, თუმცა, აპარატურა საკმაოდ ძვირია. აქ უკვე სპეკულაციები გამორიცხულია, რომ ბიულეტენები ჩაყარეს, ან კარუსელები იყო შავბნელი მეთოდებით და ა.შ. ამომრჩეველი მხოლოდ ერთ უბანზე მიდის და თავის აიდი ბარათს სხვა უბანზე ველარ გამოიყენებს, შედეგებიც უკვე ძალიან ადრე გახდება ცნობილი. წინასწარი შედეგები, სადღაც ცხრის წუთებზე გვეცოდინება. დამთავრდება სპეკულაციები ეგზიტპოლებზე და ხმების პარალელურ დათვლებზე, როცა მაგალითად 2020 წელს „ისფედმა" მანიპულაციები ჩაატარა. რადიკალების მხრიდან არჩევნების გაყალბებაზე საუბრისას უფრო იმაზე იქნება აპელირება, რომ ხალხი დააბინეს, მოისყიდეს, რუსეთი ჩაერია, (ოღონდ რანაირად ეს გაუგებარია). ძირითადად აპელირება საარჩევნო პროცესზე იქნება, რომ თითქოს თავისუფალი არ იყო", – დაასკვნის გია აბაშიძე.

„ელექტრონული კენჭისყრის სხვადასხვაგვარი მოდელი არსებობს. იმ მოდელზე, რომელიც ჩვენთანაა გამოყენებული, პირველი კითხვის ნიშანი მაშინ ჩნდება, როდესაც უბანზე მისული ამომრჩევლის რეგისტრაცია ხდება. რეგისტრაცია ტარდება ასე - უნდა წარადგინოთ პასპორტი, ან ელექტრონული პირადობის მოწმობა, მას სათანადო მონყობილობაში ათავსებენ, რომელიც ადასტურებს, ან უარს ამბობს, რომ ეს ადამიანი ნამდვილად ამ უბნის ამომრჩეველია და თუ დაადასტურა, მაშინ ბიულეტენი ეძლევა. აქ ჩნდება ასეთი ტიპის პრობლემა, მაგალითად, მისული (პირობითად) პეტრიაშვილი სინამდვილეში პავლიაშვილია, ანუ სხვისი პირადობის მოწმობით მივიდა. პირადობის მოწმობის რეგისტრაციისას, პროგრამა მხოლოდ იმას ამოწმებს, ეს პირი არის თუ არა უბნის ამომრჩეველთა სიაში, მაგრამ არ აკეთებს ამომრჩევლის იდენტიფიცირებას მისი ბიოლოგიური პარამეტრებით - სახის, თვალის, ან თითის ანაბეჭდის იდენტიფიცირებით. ამიტომ დამკვირვებლებისგან თუ კომისიის წევრებისგან პირველი შესამოწმებელი იქნება ის, რომ პირადობის მოწმობის წარმდგენი მართლა ის პირია, თუ სხვისი პირადობის მოწმობა აქვს ხელში. თუმცაღა, თუ პირადობის მოწმობის მფლობელი ამომრჩეველთა სიაში არაა, ამას პროგრამა ზუსტად იტყვის", - განმარტავს ვახტანგ ხმალაძე.

„შევსებული ბიულეტენი სათანადო მოწყობილობაში თავსდება, რომელიც ადგენს მისცა თუ არა ვინმეს ხმა ამომრჩეველმა. მოგეხსენებათ, რომ ამომრჩეველმა ხმის მიცემისას უნდა გააფერადოს პარტიის წინ არსებული წრე, ანუ შემოხაზვა აღარ არის, რასაც ხალხი მიჩვეულია. თუ მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იქნა გაფერადებული, მაშინ მანქანა იტყვის, რომ ეს ბიულეტენი ბათილია. მემგონი, სადღაც წრის 30 თუ 40% მაინც უნდა იყოს გაფერადებული, რომ პროგრამამ თქვას - ბიულეტენი ნამდვილია. ყუთი, სადაც მანქანიდან ბიულეტენი ვარდება, ორი სექციისგან შედგება, ერთში ბათილი ბიულეტენები ცვივა, მეორეში - დადგენილი, თუ ვის მისცა ხმა ამომჩეველმა, რაც კომპიუტერში აღირიცხება. თან, ამ დროს, პროგრამულად სრული ანონიმურობაა დაცული - მას მერე, რაც მანქანა ბიულეტენს წაიკითხავს, უკვე ველარავინ გაარკვევს ვის მიერ იყო შევსებული - ესე იგი, ფარულობა სრულიად დაცულია", - განაგრძობს კონსტიტუციონალისტი.

„როგორც კი ბოლო ამომრჩეველი ხმას მისცემს, უბანი იხურება და რამდენიმე წუთში მანქანა კენჭისყრის შედეგებს ამობეჭდავს - ანუ იტყვის რამდენმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, რამდენი ბიულეტენი იყო ბათილი, რამდენი ნამდვილი და რომელმა პარტიამ რამდენი ხმა მიიღო. ეს ე.წ. წინასწარი მონაცემებია, რომელიც ვებ გვერდზე უნდა აიტვირთოს და ყველას შეგვეძლოს ნახვა თუ მანქანამ რა დაადგინა. თუმცაღა, ამის მერეა შესაძლებელი შედეგების გაყალბება, რა დროსაც დიდი ყურადღებაა საჭირო. რა მაქვს მხედველობაში - მას მერე, როცა მანქანა შედეგს ამობეჭდავს, საუბნო კომისიამ ყუთიდან ბათილი ბიულეტენები უნდა ამოიღოს, ყველა დაათვალიეროს, ხომ არაა მათ შორის ისეთი, რომელიც მანქანამ კი ბათილად ჩათვალა, მაგრამ ოდნავ იყო გაფერადებული და თვალით ჩანს, რომ ამომრჩეველმა კონკრეტულ პარტიას მისცა ხმა. საუბნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, სცნოს თუ არა ეს ბიულეტენი ნამდვილად და თუ სცნო, მაშინ ოქმი უნდა შეადგინოს, რომელშიც აღნიშნავს, რომ მაგალითად, ოცი ბათილი ბიულეტენიდან ხუთი ნამდვილი აღმოჩნდა. შემაჯამებელ ოქმში კი, შესაბამისი კორექტივი უნდა იყოს შეტანილი", - ამბობს ხმალაძე.

„ეს ნაკლებად სახიფათოა - აქ იმის ალბათობა დაბალია, რომ ისეთი ბიულეტები ბევრი იქნება, რითაც მანიპულაციებს შეძლებენ და არჩევნების შედეგებში მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანენ. ამის მერე უკვე სერიოზული სიყალბის ჩადენა შეიძლება, ისეთი ტიპის, რაც ხელით დათვლისას მომხდარა ხოლმე. საქმე ისაა, რომ კანონის თანახმად, მანქანის მიერ დადგენილი შედეგი, კენჭისყრის მხოლოდ წინასწარი შედეგია. ყუთში ჩაყრილი ნამდვილი ბიულეტენები კომისიამ ხელით უნდა გადათვალოს. იურიდიული ძალა კი, ხელით დათვლილ და დადგენილ შედეგს აქვს. ხელით გადათვლისას, რასაკვირველია შეიძლება მოხდეს ის, რომ მთვლელმა ერთი პარტიისთვის მიცემული ხმა სხვა პარტიას დაუდოს. ეს უკვე მანქანის მიერ დადგენილ შედეგთან განსხვავებას მოგვცემს. თუ მანქანის მიერ დათვლილსა და ხელით დათვლილს შორის, მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოჩნდა, ეს სერიოზულ და საფუძვლიან ეჭვს ბადებს პირველ რიგში ხელით დათვლილი შედეგის მიმართ", - მიიჩნევს რესპონდენტი, რომლის აზრით, თუ ხელისუფლება გაყალბებაზე წავიდა, არჩევნების ლეგიტიმურობას არავინ არ აღიარებს.

„წინა წლებში დამთვლელი მანქანებით არჩევნები უკვე არაერთ უბანში გაიმართა და რაც ხარვეზები აღმოჩნდა, შემდგომ გასწორდა და ბოლო პერიოდში მანქანების მიმართ პრეტენზია აღარ გამოთქმულა. ამიტომ ეჭვი უფრო ხელით დათვლილი შედეგების მიმართ გაჩნდება და ბუნებრივია, ეს უბანზე დადგენილი შედეგის გასაჩივრების საფუძვლად იქცევა, როგორც ზემდგომ კომისიაში, ასევე სასამართლოში. თუ ხელისუფლებამ ნამეტანი თავზე ხელი არ აიღო, ის სერიოზულ გაყალბებაზე არ უნდა წავიდეს, რადგან თუ ამდაგვარი რაღაცა მოხდა, გარანტირებულად შეიძლება ითქვას, რომ ამ არჩევნების ლეგიტიმურობას არავინ არ აღიარებს. ბიულეტენების ხელით გადათვლისას დიდი ყურადღებაა საჭირო",- დასძენს ვახტანგ ხმალაძე.

მიწის რეგისტრაცია დაიწყო

ქ. დედოფლისწყაროში მიწის სისტემური რეგისტრაცია დაიწყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, მერის მოადგილეებს და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების აზომვა და დარეგისტრირება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ეტაპობრივად მოხდება და წლის ბოლოს დასრულდება.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მიმდინარე პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან მერის წარმომადგენლები, რომლებიც აზომვას და რეგისტრაციას ადგილზე გააკონტროლებენ და მოსახლეობას ინფორმაციას მიაწვდიან.

ბიძინა ივანიშვილის განცხადება

„ჩვენს საამაყო ძიუდოისტებს, ტატო გრიგალაშვილს, ლაშა ბექაურს და ილია სულამანიძეს ვულოცავ ოლიმპიადაზე მიღწეულ უდიდეს წარმატებას"

„ქართული ოცნების" საპატიო თავმჯდომარე, ბიძინა ივანიშვილი ქართველ ოლიმპიელებს პარიზის ოლიმპიადაზე მიღწეულ უდიდეს წარმატებას ულოცავს.

„ჩვენს საამაყო ძიუდოისტებს, ტატო გრიგალაშვილს, ლაშა ბექაურს და ილია სულამანიძეს ვულოცავ ოლიმპიადაზე მიღწეულ უდიდეს წარმატებას.

24 წლის ტატო გრიგალაშვილი უკვე სამგზის მსოფლიო ჩემპიონი, სამგზის ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონია. ტატოს ყველაფერი წინ აქვს და დარწმუნებული ვარ, შემდეგ ოლიმპიადაზე ოლიმპიური ჩემპიონიც გახდება.

ლაშა ბექაური 24 წლის ასაკში უკვე ქართული ძიუდოს და ზოგადად, ქართული სპორტის ლეგენდაა. დარწმუნებული ვარ, ლაშა 3 წლის წინ გაცემულ პირობას ბოლომდე შეასრულებს და 4 წელიწადში მესამე ოლიმპიურ ოქროსაც მოიგებს.

უდიდეს წარმატებას მიაღწია 23 წლის ილია სულამანიძემ პირველივე ოლიმპიურ თამაშებზე, თავად ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებს მესამე მედალი მოაგებინა. უფრო დიდი გამარჯვებები, მათ შორის შემდეგ ოლიმპიურ თამაშებზე ილიასაც წინ ელოდება.

წარმატებას ვუსურვებ ჩვენს ოლიმპიელებს. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ არაერთი გამარჯვება გველის", - ნათქვამია მისალოც წერილში.

„ქართული ოცნების" პრესსამსახური განმარტავს, რომ პარტიის საპატიო თავმჯდომარეს 2 კვირის წინ დადასტურებული კორონავირუსი გაურთულდა და ამ დრომდე მკურნალობის კურსს გადის, რის გამოც მისალოცი წერილის გამოქვეყნება დაგვიანდა. ამჟამად, ბიძინა ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

პირველი აგვისტო წმინდა ღირსი მამის - სერაფიმე საროველის ხსენების დღეა

ღირსი მამა სერაფიმე საროველი ამბობს, მოიპოვე ერთი ბეწო მადლი ღვთისაგან და ათასობით ადამიანი გადარჩება შენს ირგვლივ.

მამა ადამ ახალაძე: „მართლაც არსებობენ სულიერი ადამიანები, რომლებიც თავისი სულების გადარჩენაზეც ზრუნავენ და უამრავი სხვა ადამიანის ცხონებაზეც. საკვირველი თვისება ამ სულიერი მოძღვრებისა ის არის, რომ ზოგჯერ ისინი არც არაფერს ამბობენ, მაგრამ მათთან მისული ადამიანი, არის რა ასეთი მოძღვრისა და მლოცველის გვერდით, შეუმჩნევლად იღებს ღვთაებრივ მადლს ადამიანთა სულების უხილავი და საიდუმლოებრივი ურთიერთობების გზით. ასეთია მაგალითი უმაღლეს სულიერ ღირებულებათა მატარებელი ადამიანების ზემოქმედებისა ჩვენზე“.

***

ღირსი სერაფიმე საროველი (ერობაში - პროხორე მოშნინი) - რუსეთის ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი წმინდანი - დაიბადა კურსკში 1754 წლის 19 ივლისს. მამა - ისიდორე ადრე გარდაიცვალა და მცირეწლოვანი ყრმა დედის — აღათის მზრუნველობის ქვეშ დარჩა.

ბავშვობიდანვე უფრთხილდებოდა უფალი თავისი მადლის რჩეულ ჭურჭელს. ერთხელ ყრმა მშენებარე ტაძრის მაღალი სამრეკლოდან ჩამოვარდა, მაგრამ უვნებლად გადარჩა; შემდეგ სასიკვდილოდ დაავადდა, მაგრამ ძილში ღვთისმშობელი იხილა, რომელმაც მონახულება და განკურნება აღუთქვა. მართლაც, მალე მათი ეზოს წინ პროცესიამ ჩაიარა ჯვრებით და ღვთისმშობლის ხატით. დედამ ხელში ატატებული ბავშვი გამოარბენინა და ხატს შეახო, რის შემდეგაც მან სწრაფად დაიწყო მომჯობინება.

პროხორეს საოცარი მეხსიერება ჰქონდა. მან ადვილად შეისწავლა წერა-კითხვა. ბავშვობიდანვე უყვარდა ღვთისმსახურებაზე დასწრება, ბავშვებისათვის წმინდა წერილისა და წმიდანთა ცხოვრების კითხვა, მაგრამ ყველაზე უფრო განმარტოებული ლოცვა და სახარებისეული ჭეშმარიტებების წვდომა იზიდავდა.

პროხორემ სიყმაწვილეშივე გადაწყვიტა, თავი უფლის მსახურებისათვის მიეძღვნა და მონასტერში წასულიყო. კეთილმსახურმა დედამ დალოცა მისი განზრახვა, ჯვარიც აჩუქა, რომელსაც წმიდანი მთელი ცხოვრების მანძილზე გულზე ატარებდა. მალე სხვა მორწმუნეებთან ერთად პროხორე ფეხით ჩავიდა კურსკიდან კიევში პეჩორის სიწმიდეების თაყვანისაცემად. სქემ-მონაზონმა დოსითეოსმა მას ურჩია, საროვის უდაბნოში დამკვიდრებულიყო. შინ დაბრუნებული ღვთისმოყვარე ჭაბუკი სამუდამოდ გამოემშვიდობა დედას და ნათესავებს, 1778 წლის 20 ნოემბერს კი საროვში ჩავიდა, სადაც მაშინ სიბრძნით გაბრწყინებული ბერი პახუმი წინამძღვრობდა. მან თბილად მიიღო პროხორე და მოძღვრად ბერი იოსები მიუჩინა. ახალი მორჩილი სიხარულით ასრულებდა ყოველგვარ დავალებას, ისე გულმოდგინედ იღწვოდა, თითქოს თავად უფალს ემსახურებაო. გამუდმებული შრომით ის თავს იცავდა მოწყინებისაგან, რომელიც, როგორც შემდგომ აღნიშნავდა, ყველაზე საშიში საცდურია.

ამ წლებშივე პროხორემ, სხვა მოღვაწე ბერების მიბაძვით, ტყეში განმარტოებასა და ლოცვაზე აიღო კურთხევა. ორი წლის შემდეგ ახალგაზრდა მორჩილი წყალმანკით დაავადდა, მთელი სხეული გაუსივდა და საშინლად იტანჯებოდა; სამი წელი ავადმყოფობდა, მაგრამ ექიმი არ გაიკარა. „მე სულისა და ხორცის ჭეშმარიტ მკურნალს - ჩვენს უფალს, იესო ქრისტესა და მის ყოვლადწმიდა დედას ვარ მინდობილი,“ - უთხრა მან მამა პახუმის და ზიარება მოითხოვა. და აი, მაშინ მას ღვთისმშობელი გამოეცხადა პეტრე მოციქულისა და იოანე ღვთისმეტყველის თანხლებით. ყოვლადწმიდა ქალწული კვერთხით შეეხო სნეულის ფერდს, სასწაულებრივად გაჩენილი ნასვრეტებიდან სხეულში დაგუბებულმა სითხემ ნელ-ნელა იწყო დენა და მალე წმიდანი სრულიად გამოჯანსაღდა.

წმინდანმა საროვის სავანეში რვა წელი დაჰყო მორჩილად, შემდეგ კი ბერად აღიკვეცა და სერაფიმე ეწოდა — სახელი, რომელიც სწორედ რომ შეეფერებოდა ღვთაებრივი სიყვარულით ანთებულ მის სულს. ერთი წლის შემდეგ სერაფიმე მსახურებდა ტაძარში და ღვთისმსახურების შემდეგაც გამუდმებით ლოცულობდა. უფალმა არაერთხელ გახადა იგი საღვთო ხილვების ღირსი: სერაფიმე წირვა-ლოცვის დროს ცხადად ხედავდა ანგელოზებს. განსაკუთრებული მადლით აავსო წმინდა მამა თავად მაცხოვრის გამოცხადებამ, დიდ ხუთშაბათს, საღვთო ლიტურგიაზე. ამ ხილვის შემდეგ მან გაამკაცრა ღვაწლი: დილით სავანეში შრომობდა, ღამით კი - უდაბურ ტყეში, განმარტოებულ კელიაში ლოცულობდა. 1793 წელს, 39 წლის ასაკში, სერაფიმეს მღვდელ-მონაზვნად დაასხეს ხელი. მალე სავანის წინამძღვარი, მამა პახუმი მიიცვალა. სიკვდილის წინ მან წმინდანს მეუდაბნოეობაზე მისცა კურთხევა. სერაფიმემ ახალი წინამძღვრისაგან - მამა ისაიასაგანაც აიღო ლოცვა-კურთხევა და მონასტრისაგან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ კელიაში განმარტოვდა, დაბურულ ტყეში. მთელი კვირების განმავლობაში აქ ლოცულობდა და მხოლოდ შაბათობით, მწუხრის ლოცვის წინ მოდიოდა სავანეში, ლიტურგიის შემდეგ კი უკანვე ბრუნდებოდა, მაცხოვრის სისხლთან და ხორცთან ზიარებით განმტკიცებული. ღირსი მამა მკაცრ ღვაწლში იყო: თავისი ტიპიკონი მან ძველ უდაბნოთა სავანეების ტიპიკონების მიხედვით შეადგინა. მას განუშორებლად თან დაჰქონდა წმინდა სახარება. კვირის განმავლობაში ახალ აღთქმას ჩაიკითხავდა ხოლმე. გარდა ამისა, კითხულობდა წმიდა მამათა თხზულებებს და საღვთისმსახურო წიგნებსაც. სერაფიმემ მრავალი საგალობელი შეისწავლა ზეპირად და ტყეში მუშაობის დროს გალობით აღავლენდა ლოცვებს. კელიის მახლობლად მან ბოსტანი მოაწყო, ფუტკარიც მოიშენა; ლუკმა-პურს საკუთარი შრომით მოიპოვებდა, მაგრამ ძალიან ცოტას ჭამდა, დღეში მხოლოდ ერთხელ იღებდა საზრდოს, ოთხშაბათს და პარასკევს კი საერთოდ არაფერს იხმევდა. დიდმარხვის პირველ კვირიაკეს შაბათამდე არაფერს ჭამდა, შაბათს კი წმიდა საიდუმლოს ეზიარებოდა.

წმიდა სერაფიმესთან რჩევისა და ლოცვა-კურთხევის სათხოვნელად სიარულს მოუხშირეს არა მხოლოდ მონასტრის ძმებმა, არამედ ერისკაცებმაც. ეს არღვევდა მის მყუდროებას, ამიტომ, წინამძღვრის კურთხევით, წმინდანმა თავისთან მოსვლა აუკრძალა ჯერ ქალებს, შემდეგ კი - ყველა დანარჩენს. სერაფიმეს ლოცვით მის კელიასთან მისასვლელი გზა ასწლოვანი ფიჭვების მსხვილი ტოტებით გადაიხლართა. ახლა მხოლოდ ფრინველები და მხეცები თუ აღწევდნენ წმიდა მამამდე. იგი საკუთარი ხელით აჭმევდა დათვს, როცა მისთვის პური მოჰქონდათ მონასტრიდან.

ღირსი სერაფიმეს ახოვანი მოსაგრეობა თვალში არ მოსდიოდა ადამიანთა მოდგმის მტერს - ეშმაკს. მან გააძლიერა ბრძოლა წმიდანის წინააღმდეგ: ჯერ ეცადა, დაეფრთხო იგი, ამის შემდეგ ბოროტი ფიქრებით ცდილობდა მისი გონების ამღვრევას. ღირსმა მამამ გადაწყვიტა, კიდევ უფრო გაემკაცრებინა ღვაწლი, - ყოველ ღამით ის ერთ უზარმაზარ ქვაზე ადიოდა და ხელაპყრობით ლოცულობდა: „უფალო, შემიწყალე მე ცოდვილი.“ დღისით კელიაში აგრძელებდა ლოცვას. აქაც ტყიდან მოტანილ ქვაზე იდგა, საიდანაც იშვიათად ჩამოდიოდა. ასე ლოცულობდა წმიდანი 1000 დღე-ღამის განმავლობაში. ერთხელ ყაჩაღები თავზე დაადგნენ უდაბნოში მომუშაკე ბერს და ფული მოსთხოვეს. ყაჩაღებმა სასტიკად გვემეს ღირსი მამა, თავი გაუტეხეს, ნეკნები ჩაუმტვრიეს, შემდეგ კი შეკრეს და მდინარეში უპირებდნენ გადაგდებას, მაგრამ, როცა მისი ღარიბული კელიის საფუძვლიანი გაჩხრეკის შემდეგ შიგ ხატისა და რამდენიმე კარტოფილის მეტი ვერაფერი იპოვეს, სირცხვილულნი განერიდნენ იქაურობას. წმიდანი საშინელი ჭრილობებისაგან ღვთისმშობელმა განკურნა გამოცხადებით. ამის შემდეგ სერაფიმე მუდამ წელში მოხრილი დადიოდა, კვერთხზე ან ნაჯახზე დაყრდნობილი, მაგრამ შეურაცხმყოფელებს გულით შეუნდო შეცოდება და ითხოვა, არ დაესაჯათ ისინი.

როდესაც იღუმენი ისაია გარდაიცვალა, წმიდა მამამ, მდუმარების ღვაწლი იტვირთა. ის ცდილობდა ლოცვით ყოველგვარი ამაო ფიქრისაგან განეწმიდა გონება: თუ ტყეში ვინმეს გადაეყრებოდა, პირქვე დაემხობოდა და შემხვედრის წასვლამდე არ წამოდგებოდა. ამგვარ ღვაწლში გალია წმიდანმა თითქმის სამი წელიწადი, კვირის წირვებზეც კი არ მიდიოდა სავანეში. მაშინ ახალმა იღუმენმა ნიფონტმა და მონასტრის ძმებმა სთხოვეს ბერს,



წირვა-ლოცვაზე მაინც მისულიყო მათთან, ან საერთოდ დაბრუნებულიყო სავანეში. ღირსმა მამამ ეს უკანასკნელი არჩია, რადგან შორ მანძილზე სიარული უჭირდა და 1810 წლის გაზაფხულზე 15 წლიანი განდეგილობის შემდეგ სავანეში დაბრუნდა. აქ იგი ერთ კელიაში დაეყუდა, საიდანაც არასდროს გამოდიოდა. უფალმა მოშურნე ბერს ხანგრძლივი და გულმოდგინე მოღვაწეობისათვის განჭვრეტისა და სასწაულთმოქმედების ნიჭი მიმადლა. 1825 წლის 25 ნოემბერს ღვთისმშობელმა მას გამოცხადებით მოუწოდა ხალხის სამსახურისაკენ და ამ დღიდან წმიდანის კელიის კარები ღია იყო ყველა მსურველისათვის. მოძღვარი ჭვრეტდა აღმსარებლის გულებს და ღვთისადმი აღვლენილი ლოცვებით კურნავდა მათ სულიერ და ხორციელ სნეულებათაგან. წმინდანი განსაკუთრებულად ზრუნავდა თავის საყვარელ დივეევის დედათა სავანეზე. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ლოცვის დროს ჰაერში ამაღლებულიც უხილავთ.

სიცოცხლის უკანასკნელ წელს სერაფიმე საროველი საგრძნობლად დასუსტდა, ის ბევრს საუბრობდა მოახლოებული აღსასრულის შესახებ. იმ ხანებში მას ხშირად ხედავდნენ კელიის კარებთან მდგარ კუბოსთან, რომელიც საკუთარი ხელით შეამზადებინა თავისთვის, ღირსმა მამამ ითხოვა, მიძინების ტაძრის საკურთხეველთან დაეკრძალათ, მის მიერ წინასწარ მინიშნულ ადგილას.

1833 წლის 1 იანვარს უკანასკნელად ეზიარა. 2 იანვარს, დილის ექვსი საათისათვის, წმიდანის მორჩილმა პავლემ მისი კელიიდან გამომავალი დამწვრის სუნი იგრძნო. წმიდანი ყოველთვის ანთებდა სანთლებს, მაგრამ ამბობდა: „სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს კელიაში ხანძარი არ გაჩნდება, ჩემი სიკვდილი ხანძრით გაცხადდება.“ როცა კარები გააღეს, დაინახეს, რომ წიგნებსა და სხვა ნივთებს ცეცხლი მოსდებოდა, მამა სერაფიმეს კი ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოყრილს, სული უფლისთვის შეევედრებინა.

ელიას მთაზე აღმართული ტაძრის ისტორია

ელიას მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე, ფუძიდან ოცდაათიოდე მეტრის სიმაღლეზე, სამკუთხა მოყვანილობის ფართო და მაღალი ბუნებრივი ეხია, რომლის წინა პირი ამოშენებული იყო. როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა, სავარაუდოდ, VI საუკუნეში აქ მდებარეობდა მთლიანად ბუნებრივ მღვიმეში მოქცეული უძველესი სამლოცველო, რომელიც ასურელ მამათა მოღვაწეობას უკავშირდებოდა, თუმცა მისი აგების ზუსტი თარიღი უცნობია. როგორც ჩანს, ეს სამლოცველო XIII საუკუნეში მონღოლთა თარეშის დროს დაინგრა. XVI საუკუნეში, კახთა მეფის - ალექსანდრე II-ის მოღვაწეობისას, როცა კახეთის სამეფო ეკონომიკურად გაძლიერდა, იგი აღუდგენიათ, მაგრამ 1616 წელს, კახეთის აოხრების პერიოდში, კიდევ ერთხელ გაუკაცრიელებულა. მესამედ, წმინდა ელიას სამლოცველო XVIII საუკუნის ბოლოს, ერეკლე II-ის მეფობის დროს აღადგინეს.

ერთადერთი წერილობითი ცნობა შემოგვინახა ალექსანდრე დიუმამ, რომელსაც ელიას კლდე უნახავს 1858 წელს კავკასიასა და საქართველოში მოგზაურობის დროს და მოკლე ჩანაწერიც გაუკეთებია: „თამარ მეფის ციხიდან ექვსი ვერსის დაშორებით აღიმართება კიდევ ერთი მთა, რომლის შესახებ გადმოცემა არსებობს. ამ მთას ელიას მთა ჰქვია, ძირს მლაშე ტბა ევლება. შუა მთაში გამოჭრილ ფართო მღვიმეში აშენებულია სამრეკლო, სადაც ხშირად დადიან მცხოვრებლები. გადმოცემა ამბობს, რომ ამ მღვიმეში ილია წინასწარმეტყველისთვის ყორანს საჭმელი მიჰქონდა და რომ მან თავისი წამოსასხამი თავის მოწაფეს ელისეს დაუტოვა, თვითონ კი მთის მწვერვალიდან ცაში ამაღლდა“ (ა.დიუმა. კავკასია, თბილისი, 1970, გვ. 259–260).

წმინდა ელიას სამლოცველო ბევრჯერ გადაურჩა იმ ქარტეხილებს, რაც კახეთ-ჰერეთსა და, განსაკუთრებით, კამბეჩოვანს დაატყდა თავს.

XIX საუკუნეში აქ მოქმედი სამლოცველო იყო. ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ, ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებით, იგი კვლავ დაინგრა და მხოლოდ XXI საუკუნეში სამლოცველოს ნანგრევებზე აშენდა წმინდა ელია თეზბიტელის ამჟამინდელი ტაძარი.

დღეს სამლოცველო მოქმედია და სრულდება წირვა-ლოცვა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მამა ნიკოლოზს (ლომსაძეს) და ყველა იმ ადგილობრივ მკვიდრს, ვისი შემწეობითაც და შრომითაც აღდგა ტაძარი 2006 წელს. ელიას მთაზე განთავსებულია ბერების სამყოფელიც.

ელიას მთას აქვს ერთი საიდუმლო. ელიის მთიდან არის შესასვლელი გვირაბში, რომლის ერთი ბოლო ხორნაბუჯის ციხეში გადის. ეს გვირაბი შიგ ელიის მთაში შედის და იქიდან გადის სხვადასხვა მხარეს, ხორნაბუჯში არის გვირაბის გამოსასვლელი ადგილი, რაც ამ ფაქტის სინამდვილეს ადასტურებს. როგორც ამბობენ ამ გვირაბიდან გზა რამდენიმე მხარეს გადიოდა, მაგრამ ცნობილია მხოლოდ ერთი, ხორნაბუჯში გამავალი ბოლო. დღესდღეობით ეს გვირაბი ჩამონგრეულია და მხოლოდ შესასვლელია დარჩენილი.

ძველთაგანვე აქაურები, როგორც მიწათმოქმედნი, გვალვისას წმინდა წინასწარმეტყველ ელიას მიმართავდნენ და წვიმის მოსვლას თხოვდნენ. ყოველ 2 აგვისტოს /ძვ. სტილით 20 ივლისს/, წმინდა დიდებული წინასწარმეტყველის ელია თეზბიტელის ხსენების დღეს, აქ უამრავი ხალხი იკრიბება, ღამეს ათევენ და ლოცულობენ.

გვერდი მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

წლის რეინჯერები გამოვლინდნენ

31 ივლისი რეინჯერის დღეა. რეინჯერთა მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გაიმართა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ბესიკ კუსიდთან ერთად რეინჯერებს პროფესიული დღე მიულოცა. რეინჯერთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, წელსაც, ტრადიციულად, დაცული ტერიტორიების ყველა ადმინისტრაციაში „წლის რეინჯერი“ გამოვლინდა, რომელთაც სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. დედოფლისწყაროდან სულ 3 რეინჯერი დაჯილდოვდა, ვაშლოვანის ნაკრძალიდან **არსენა ჩოქური** *და* **ვაჟიკო ყოჩიაშვილი**, *ხოლო* **გია სეფიაშვილი** *ჭაჭუნას აღკვეთილიდან.*

გაიმართა რეინჯერების მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენაც. ღონისძიებაზე გაიხსენეს და პატივი მიაგეს ყველა იმ რეინჯერს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა.

ვაჟა ჩერქეზიშვილი *(ვაშლოვანის ადმინისტრაციის რეინჯერთა სამსახურის უფროსი):* „ვაშლოვანის ადმინისტრაციამ წელს არსენა ჩოქურის კანდიდატურა წარადგინა. გარდა ამისა, დამატებით კიდევ ერთი თანამშრომელი დააჯილდოვეს. ეს არის ყველასთვის კარგად ნაცნობი ვაჟიკო ყოჩიაშვილი, ის ქურციკების აღდგენის პროექტში მრავალი წელია ჩართულია და დიდი წარმატებებიც გვაქვს, არის პროექტის კონსულტანტიც და ექსპერტიც, ამიტომ ის შეირჩა ეკოსისტემის კონსერვაციის და ბიომრავალფეროვნების აღდგენის კუთხით ნაყოფიერი მუშაობისთვის.“

ჭაჭუნას აღკვეთილის დირექტორი აკაკი ტეტელოშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ წლის განმავლობაში მუშაობის პროცესში რეინჯერების შეფასება ხდება ქულებით, საუკეთესო შედეგების მქონე კი პროფესიულ დღეზე დასაჯილდოვებლად სამინისტროს წარუდგინეს.

აკაკი ტეტელოშვილი (ჭაჭუნას აღკვეთილის დირექტორი): „უკვე მერამდენე წელია რეინჯერები ჯილდოვდებიან. წელს ჭაჭუნას აღკვეთილში დასაქმებულ სამ რეინჯერს თანაბარი ქულა ჰქონდა, თუმცა მათგან ყველაზე აქტიური შევარჩიეთ და წარვადგინეთ დაჯილდოვების ცერემონიაზე. მას შედარებით განსხვავებული უნარ-ჩვევები აქვს და ამიტომაც ჩავთვალეთ, რომ დაჯილდოებას ის იმსახურებდა. თითქმის 10 წელია ჩვენთან მუშაობს, სამუშაო დღეა თუ დასვენების პერიოდში, ყოველთვის მზადაა ემსახუროს აღკვეთილს და ბუნების გადარჩენის საქმეს, ამიტომაც ნამდვილად დამსახურებულად დასახელდა.“

გია სეფიაშვილი: „დიდებული ღონისძიება ჩატარდა, პირადად სოფლის მეურნეობის მინისტრმა გადმომცა სიგელიც და სიმბოლური საჩუქარიც. ეს დიდი ყურადღებაა ხელმძღვანელობის მხრიდან. ზოგადად, ყოველთვის ვგრძნობთ მათ მხარდაჭერას, თუმცა დაჯილდოვება ნამდვილად დასაფასებელია. ამიტომ მადლობა მინდა ვუთხრა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სამინისტროს ამისათვის. უნდა ითქვას, რომ ყველანაირი თანადგომა გვაქვს, შესაფერისი სამუშაო პირობებიც გვაქვს, არაფერი გვაკლია. ყოველწლიურად უმჯობესდება ჩვენი საყოფაცხოვრებო და დამუშაო პირობები. თუ რამე გვჭირდება, ან ვითხოვთ, ხელმძღვანელობა ყოველთვის გვისმენს. ამას ისიც ემატება, რომ ბოლო წლებში რეინჯერთა დღეზე აქტიურ რეინჯერებსაც გამოავლენენ ხოლმე და ეს მათი მხრიდან დამატებითი დაფასებაა. გასულ წელს უხუცესი რეინჯერებიც გამოავლინეს, წელს კი „წლის რეინჯერის“ წოდება მოგვინიჭა.“

სიგელები და მედლები ქვეყნის მასშტაბით წარმატებულ რეინჯერებს თავად მინისტრმა გადასცა, რის შემდეგაც სცენაზე მისალოცი სიტყვა წარმოსთქვა.

„წელსაც აღვნიშნეთ რეინჯერთა მსოფლიო დღე. მინდა მივულოცო თითოეულ რეინჯერს დღევანდელი დღე და განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო იმ სამსახურისთვის, რასაც ეწევიან ჩვენი უნიკალური ბუნების დაცვისთვის. რა თქმა უნდა, პატივს მივაგებთ იმ ადამიანების ხსოვნას, ჩვენი გმირი რეინჯერების ხსოვნას, ვინც ამ საქმიანობას შეეწირნენ და ყველაზე უკეთესი, თავიანთი სიცოცხლე გაწირეს ამ საქმისთვის. ჩვენი ქვეყნის უნიკალური ბუნების დაცვას 500-მდე რეინჯერი ემსახურება. მათ საქმიანობაში შედის ბრაკონიერობის ფაქტის აღკვეთა, და დაუდევრობით გამოწვეულ ხანძრებთან გამკლავება, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტორთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა და მათი ინფორმირება. ეს არის, მე ვიტყოდი, საპატიო საქმე და სახელმწიფო ზრუნავს და აუცილებლად იზრუნებს, რომ მათ ჰქონდეთ სათანადო სამუშაო პირობები, აღჭურვილობა, სოციალური გარანტიები და ყველანაირი პირობა იმისთვის, რომ ეფექტიანად განახორციელონ საქმიანობა და იყვნენ დაფასებულები“- განაცხადა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრმაც ოთარ შამუგიამ.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებს, 24 ტერიტორიულ ადმინისტრაციაში გადანაწილებული 450 რეინჯერი იცავს. რეინჯერების დაცვის ქვეშ საქართველოს ტერიტორიის 13%-ზე მეტია. მიმდინარე წელს რეინჯერთა მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის მთავრობის პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება-საქართველო“ ფარგლებში გაიმართა.

ილია მარტყოფლიშვილი

საპატრიარქო ქურმუხის ტაძარში მომხდარს ეხმაურება

ჩვენს ეპარქიაში შემავალ ქურმუხის ტაძარში ვანდალური ფაქტები კიდევ ერთხელ დაფიქსირდა. 2017 წლის მსგავსად, ამჯერადაც აზერბაიჯანელმა მომღერლებმა ამბიონზე მუსიკალური კლიპები გადაიღეს, სადაც ქართული ცეკვა-სიმღერებია გაშარჟებული, რომელიც ტაძარში გადაღებული. ასეთი ფაქტები წლების წინაც სწორედ „შირაქმა“ აღმოაჩინა და გაახმაურა.

მომხდართან დაკავშირებით საპატრიარქომ ოფიციალური განცხადება პირველ აგვისტოს გაავრცელა.

„ინტერნეტში გავრცელდა მუსიკალური ვიდეოკლიპი, რომლის კადრებიც გადაღებულია ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარში, კახის რაიონში, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. კადრებში ჩანს, რომ აზერბაიჯანელი მუსიკოსი ტაძრის ამბიონზე დგას და „აჭარულის“ მელოდიისა და სიმღერის თანხლებით ელექტრონულ მუსიკალურ ინსტრუმენტზე „ასრულებს“ გარკვეულ კომპოზიციას. ფაქტმა გამოიწვია საზოგადოების სამართლიანი გულისწყრომა. როგორც ირკვევა, მოგვიანებით შემსრულებელმა კომპოზიცია წაშალა და თქვა, რომ ეს ვიდეო ქართული კულტურისა და ხელოვნებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამოსახატად გადაიღო, სხვა მიზანი არ ამოძრავებდა და შეცდომას გამოასწორებდა. თუმცა, კლიპის ამონარიდები ამ დრომდე კვლავ იძებნება.

სამწუხაროდ, ეს ფაქტი არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჰერეთში მდებარე ქართულ სიწმინდეს - ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარს ასე უპატივცემულოდ ეპყრობიან და იყენებენ ცალკეული ვითომ კულტურულ-სახელოვნებო კამპანიისათვის.

საქართველოს საპატრიარქოს ყველა მსგავსი შემთხვევებისადმი გამოუხატავს უარყოფითი დამოკიდებულება და წუხილი. ამჯერადაც გამოვთქვამთ ჩვენს გულისტკივილს ამ ფაქტის გამო. ქურმუხის ტაძარი უდიდესი მნიშვნელობის სალოცავია. ეს სიწმინდე აღიარებულია არა მარტო მართლმადიდებლების, არამედ მუსლიმთა მიერაც. მას აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან ისტორიულ-კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. ამიტომ კიდევ უფრო გაუგებარი და დიდად საწყენია, რომ შეუფერებელი და შეურაცხმყოფელი ქმედებები ხდება ამ ტაძარში.

მივმართავთ აზერბაიჯანის ხელისუფალთ და ვთხოვთ სულიერ ლიდერს, კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარეს, მის აღმატებულებას, შეიხ ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა-ზადეს, დროულად მოხდეს ფაქტების მოკვლევა და სათანადო ზომების მიღება არსებული შემთხვევების სამომავლოდ აღმოსაფხვრელად.

იმედი გვაქვს, ჩვენს ქვეყნებსა და რელიგიურ ლიდერთა შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულება მსგავსი უპატივცემულო შემთხვევების დროულად გამოსწორების წინაპირობა იქნება და შესაბამისი ორგანოებისა და პირების მხრიდან სათანადო რეაგირების შედეგად პასუხგაუცემელი არ დარჩება.

მსგავსი შემთხვევები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რაოდენ მნიშვნელოვანია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრებისათვის დანიშნულების აღდგენა. ამიტომ მივმართავთ აზერბაიჯანის ხელისუფლებას შესაბამის წარმომადგენლებს, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია გახდეს მოქმედი ტაძარი და საქართველოს საპატრიარქოს მიეცეს მასში ღვთისმსახურების რეგულარულად ჩატარების უფლება, რადგან ზემოაღნიშნული ფაქტი არ არის პირველი შემთხვევა და მუდმივად ვდგავართ იმ პრობლემის წინაშე, რომელიც იწვევს დაძაბულობას, საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას და რელიგიური გრძნობების შელახვას.

მარიამ ზაქაიძე ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულია

არხილოსკალოს საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე მაიამ ზაქაიძე საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა კავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „თანამედროვე გალაკტიონი“ გამარჯვებულია. ის კონკურსში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ქალბატონი ზიზო ბურდულის მხარდაჭერით ჩაერთო.

კონკურის მიზანი იყო ახალგაზრდებში გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მიმართ ინტერესის გაღვივება და ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა. კერძოდ, მოზარდებს უნდა შეექმნათ მოთხრობა, ნოველა, ესე, ან ლექსი. მათგან საუკეთესოები კი დაჯილდოვდებოდა და კრებულში დაიბეჭდებოდა.

როგორც გაზეთ „შირაქს“ არხილოსკალოს სკოლაში უამბობენ, მარიამ ზაქაიძე საუკეთესო ესსესთვის დაჯილდოვდა „ოქროს სიგელით“ და ფასიანი საჩუქრით. მისი ესსე შევიდა საუკეთესო ნამუშევრების კრებულში „კვლავ გვინათე, როგორც ახლა გვინათ...“

მარიამ ზაქაიძე (*კონკურსში გამარჯვებული):* „ჩემთვის საინტერესო კონკურსი იყო მისი თემატიკიდან გამომდინარე და ამიტომ გადავწყვიტე მიმეღო მასში მონაწილეობა. წარმატებას რაც შეეხება ჩემი აზრით, ამის მიზეზი იყო ის, რომ თემაში გამოყენებული მქონდა გალაქტიონის ნაწარმოებებიდან ნაწყვეტები, რომელსაც ვურთავდი ჩემ შეხედულებას, ასევე ნაწარმოებში კარგად ჩანს ჩემი დამოკიდებულება გალაქტიონის მიმართ. მისი ტანჯული ცხოვრების გზა და სირთულეები, რომელიც მას განსაკუთრებულს და გამორჩეულს ხდის აღწერილია თემაში და სწორედ ეს გახდა მიზეზი ამ თემის წარმატებისა.

ასეთი კონკურსები და კლასგარეშე აქტივობები მოზარდს უვითარებს წერის და გააზრების უნარებს, მატებს გამოცდილებას, ზრდის მოტივაციას და უფრო მეტ მოზარდს უჩენს სურვილს ჩაერთოს სხვადასხვა კონკურსებში და კლასგარაშე აქტივობებში.

ზიზო ბურდული *(პედაგოგი):* „მარიამ ზაქაიძე არხილოსკალოს საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეა. მას უკვე 4 წელია, მეშვიდე კლასიდან ვასწავლი. არაფერი ეზარება, ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს სკოლაში გამართულ ღონისძიებებსა თუ კონკურსებში. უყვარს ლიტერატურა, პოეზია... ეს სიფრიფანა, პატარა გოგონა ისე საოცრად კითხულობს ლექსებს, ისე უცაბედად მოგწყვეტს გარე სამყაროს, რომ ვერც კი ხვდები, როდიდან გამხდარხარ მისი მსმენელი და როდიდან მოგზაურობ მასთან ერთად პოეზიის ლაბირინთებში... ჰყავს საყვარელი პოეტები, ერთ - ერთი მათგანი გალაკტიონ ტაბიძეა. მისი არაერთი ლექსი იცის ზეპირად... სწორედ ამიტომ , მისი თავდაუზოგავი შრომის შედეგად გახდა იგი კონკურსის გამარჯვებული. ვულოცავ მარიამს ამ დიდ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებ პირადსა თუ შემოქმედებით საქმიანობაში... მისი ნაწარმოები შევიდა საუკეთესო ნამუშევრების კრებულში „კვლავ გვინათე, როგორც ახლა გვინათ...“! ის უკვე მეთერთმეტე კლასში გადავიდა და წარმატებები მინდა ვუსურვო.“

ილია მარტყოფლიშვილი

გამარჯვებული ცნობილია - ვინ ააშენებს ანაკლიის პორტს?

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის საზღვაო ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულად ე.წ. დიდი ოთხეულიდან, მსხვილი ბელგიური კომპანია Jan De Nul (იან დე ნული) შეირჩა. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ევროპული კომპანია ანაკლიაში ნავსადგურის აკვატორიის დაღრმავებით და მოლოს (ტალღისმჭრელის/ტალღმტეხელის) მშენებლობის სამუშაოებს განახორციელებს.



„სატენდერო კომისიამ არჩევანი საუკეთესოთა შორის საუკეთესოზე შეაჩერა. ოთხი კომპანიიდან ტენდერში სამმა მიიღო მონაწილეობა. ყველა მათგანი ევროპულია და აქვთ საუკეთესო საერთაშორისო რეპუტაცია აღნიშნულ საქმიანობაში. ტენდერში მონაწილე კომპანიები ფლობენ მსოფლიო ფსკერდაღრმავების ფლოტის 80 პროცენტს. ბელგიური კომპანია „იან დე ნული“ 1938 წელს დაფუძნდა და მისი ბრუნვა 2,5 მლრდ ევროა, დასაქმებული ჰყავს 7000-ზე მეტი ადამიანი. კომპანია აქტიურად იყო ჩართული პანამის არხის გაფართოების პროექტში, გარდა ამისა, განახორციელა ან ახორციელებს პროექტებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის, ევროპაში, გალფის ყურეში, აფრიკასა და სხვ.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი იქნება, რომელმაც უნდა დააკავშიროს ევროპისა და აზიის სატრანსპორტო სისტემები. ამდენად, მისი მშენებლობისა და განვითარებისთვის საქართველოს მთავრობა ითანამშრომლებს მხოლოდ მაღალი რეპუტაციის კომპანიებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან. ამის ნათელი მაგალითია ბელგიური კომპანია „იან დე ნული“, რომელიც სატენდერო კომისიამ საერთაშორისო კონსულტანტების ჩართულობით საუკეთესოდ მიიჩნია და უკვე გაეგზავნა მოწვევა ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად/ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პროექტია. მისი მეშვეობით საქართველომ უნდა გაიმყაროს თავისი გეოსტრატეგიული ფუნქცია - დააკავშიროს ევროპისა და აზიის სატრანსპორტო სისტემები ერთმანეთს, მოემსახუროს ტვირთნაკადს შუა დერეფანში, რომელიც არის დასავლეთისა და აღმოსავლეთის უმოკლესი და ყველაზე უსაფრთხო გზა დღესდღეობით. ანაკლიის ნავსადგური შეძლებს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან განვითარებას, მოიზიდავს საერთაშორისო ინვესტიციებს და შექმნის ათასობით ახალ სამუშაო ადგილს. მეტიც, ანაკლიის ნავსადგურის წარმატებული ფუნქციონირება მიმართული იქნება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ შუა დერეფნის სხვა ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენ.

ანაკლიის ღრმაწყლოვან ნავსადგურში პირველი გემების მიღება 2029 წელს იგეგმება, რაც გაზრდის ტვირთნაკადს საქართველოს სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის გავლით. ნავსადგურის პირველი ფაზის გამტარუნარიანობა წელიწადში 600 ათასი კონტეინერი იქნება ხოლო საორიენტაციო ღირებულება - 600 მლნ აშშ დოლარია“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

რა ვიცით და როგორი ცნობილი პროექტები უკავშირდება ბელგიურ კომპანიას Jan De Nul, როგორც ანაკლიის პორტი უნდა ააშენოს

კომპანია ანაკლიაში ნავსადგურის აკვატორიის დაღრმავების და მოლოს (ტალღისმჭრელის/ტალღმტეხელის) მშენებლობის სამუშაოებს შეასრულებს.

Jan De Nul Group ბელგიური საოჯახო კომპანიაა, რომლის სათაო ოფისი ლუქსემბურგშია. კომპანია საერთაშორისო საფუძველზე საზღვაო ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და ტექნიკურ მომსახურებას უზრუნველყოფს. საზღვაო ინჟინერიის სხვა სფეროებთან ერთად, მისი ძირითადი მიმართულება დრენაჟი და წყლის სიღრმის გაზრდაა, რაც მისი ბრუნვის 85%-ს შეადგენს. საქმიანობის სხვა სფეროები სამოქალაქო ინჟინერიასა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიას მოიცავს.

Jan De Nul Group თავიდან, როგორც სამშენებლო კომპანია, 1938 წელს ბელგიის ქალაქ ალსტის მუნიციპალიტეტში ჰოფსტადში დაარსდა. კომპანია სამოქალაქო სამუშაოებსა და საზღვაო მშენებლობაზე იყო სპეციალიზირებული. დრენაჟის ბიზნესში Jan De Nul Group 1951 წლიდან შევიდა, ახლახან კი ოფშორული ქარის ენერგიის ბიზნესით დაკავდა და ევროპის ქარის ენერგიის ძირითადი პროექტების განხორციელებაში წარმატებას მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ 2008 და 2009 წლებში Jan De Nul Group ბელგიაში ყველაზე მიმზიდველ დამსაქმებლად იქნა აღიარებული.

კომპანია 75 ხომალდისგან შემდგარ ფლოტს ფლობს. მათ შორის არის Cristobal Colon-ი, რომელიც წყალში 2008 წელს ჩაეშვა და მსოფლიოში უდიდესი, 46,000 კუბური მეტრი ტევადობის მიწის შემწოვი დრეჯერია. გემს წყლის სიღმის 155 მ-მდე გაზრდა შეუძლია. ანალოგიური საზღვაო საინჟინრო გემია 2010 წელს ჩაშვებული Leiv Eiriksson-ი. მთლიანობაში, Jan De Nul Group-ს ჰყავს მსოფლიოში მიწის შემწოვი დრეჯერების ყველაზე დიდი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფლოტი.

Jan De Nul-ის მიერ ნაწილობრივ ან მთლიანად განხორციელებულ ძირითად პროექტებს შორის არის პანამის არხის გაფართოება; ბრიჯთაუნის პორტის გაუმჯობესება; ბოტანის პორტის გაფართოება; საუდის არაბეთში დამბისა და კუნძულის პროექტი, Manifa Field Causeway and Island Project; dubais xelovnuri kunZuli, Palm Jebel Ali და მიმდებარე წყლის სანაპირო; ტაკორადის ნავსადგურის გაფართოების პროექტი განაში.

2020-2021 წლებში Jan De Nul Group-მა ზღვის 1 კმ-მდე სიღრმესა და 135 კმ მანძილზე ელექტროგადამცემი კაბელი გაიყვანა, რომელიც კუნძულ კრეტას მატერიკ საბერძნეთთან აკავშირებს.

2022 წლის ბოლოს Jan De Nul Group-ს 7 178 თანამშრომელი ჰყავდა, ხოლო კომპანიის წლიურმა ბრუნვამ 2,5 მლრდ ევრო შეადგინა.

რას გეგმავს საქართველოს მთავრობა დაბრუნებული მიგრანტების დასახმარებლად

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების მხარდასაჭერად მთავრობა 2024-2028 წლებში 10 მლნ ლარის დახარჯვას გეგმავს, ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ პარლამენტის წევრის გივი მიქანაძის სადეპუტატო კითხვის პასუხად გაგზავნილი ინფორმაციიდან ირკვევა.

„დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

სამედიცინო დახმარება და/ან მედიკამენტების დაფინანსება - გამოკვეთილი სამედიცინო საჭიროების მქონე ბენეფიციარებს 1 500 ლარის ფარგლებში უფინანსებდათ მწვავე, ქრონიკული და/ან სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მქონე პირებისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურება, მათ შორის, მედიკამენტოზური მკურნალობა. გარდა ამისა, კომპონენტის ფარგლებში ფინანსდება ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა - კომპონენტის ფარგლებში ხდება საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფი მიგრანტების დაბრუნებისთანავე, გამოკვეთილი საჭიროებების შემთხვევაში, ბენეფიციარის არაუმეტეს 6 ღამით დროებითი განთავსების უზრუნველყოფა.

პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა-ხელი ეწყობა დასაქმების ხელშეწყობის, სახელმწიფო სააგენტოს დასაქმების ხელშეწყობის, სახელმწიფო პროგრამაში ჩართვას, ასევე 1 500 ლარის ფარგლებში პროფესიული სწავლების დაფინანსებას.

სოციალური ინიციატივების დაფინანსება ან ეკონომიკური აგენტის სუბსიდირება - ბენეფიციარის პროფესიიდან, ცოდნიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შემოსავლის წყაროს გაჩენის, თვითდასაქმებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ფინანსდება ბიზნეს პროექტები. კომპონენტის ფარგლებში შესაძლებელია როგორც დამწყები პროექტის, ასევე მიმდინარე საქმიანობის გაძლიერების მიზნით არსებული ბიზნესის მხარდაჭერა. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება არაუმეტეს 6000 ლარის ღირებულების ტექნიკა-დანადგარების და სხვა ძირითადი საშუალებების შესყიდვა.

ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით თანხის გაცემა - გამოკვეთილი საჭიროებების შემთხვევაში, ისეთი გარემოებების არსებობისას, როგორიცაა დოკუმენტაციის აღდგენა, ბინის ქირა, პირველადი მოხმარების პროდუქტების შეძენა და სხვა, ფინანსური სირთულეების დაძლევის მიზნით გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება ოჯახზე არაუმეტეს 300 ლარისა. ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით ფინანსდებიან მხოლოდ ისეთი ბენეფიციარები (ოჯახები) რომელთაც არ აქვთ რეგისტრირებული უძრავი ქონება, არ გააჩნიათ შემოსავალი (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური გასაცემელისა) და ჰყავთ 1 არასრულწლოვანი შვილი მაინც, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე.

დაბრუნებული მიგრანტი ბავშვებისთვის სპორტული/შემოქმედებითი/შემეცნებითი კურსების დაფინანსება - დაბრუნებული მიგრანტი არასრულწლოვანი ბენეფიციარების რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ფინანსდება სპორტული და შემოქმედებითი კურსები ერთი წლის მანძილზე 1 500 ლარის ფარგლებში,“- აღნიშნულია სამინისტროს ინფორმაციაში.

ამასთან, უწყების ცნობითვე, 2019-2023 წლებში აღნიშნული პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებით ჯამში 1 100-ზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა. რაც შეეხება თანხებს, 2019-2023 წლებში პროგრამის განსახორციელებლად ბიუჯეტმა ჯამში 2 902 500 ლარი შეადგინა, 2024 წელს - 1 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო 2025-2028 წლებში პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი 9 მლნ ლარია.

გვერდის მასალები მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ყურადღება: ეკრანზეა ტელერეკლამა

ტელემაყურებელი ბრაზდება როდესაც ფილმს ან გადაცემას რეკლამა წყვეტს. თანაც თუკი ეს ხშირად ხდება. მაგრამ, თვითონ რეკლამას ეს არ ვნებს. პირიქით, რეკლამა, რომელიც ხელს უშლის ფილმის ყურებას, აღიზიანებს მაყურებელს და ამით უფრო მეტ ყურადღებას იქცევს. ამას ექსპერიმენტიც ადასტურებს. ცდის პირებს ტელევიზორის წინ მყუდრო სიტუაცია შეუქმნეს. მაყურებელთა ჯგუფებს უჩვენებდნენ 45 წუთიან ფილმს, ეს იყო დეტექტივი, კომედია ან ფილმი ბუნებაზე. ცდის პირების ერთ ნაწილს ფილმის ჩვენებას დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ყველაზე საინტერესო მომენტში, სარეკლამო ბლოკით უწყვეტდნენ.

მაყურებლები, რომელბსაც შეუწყვიტეს ფილმის ჩვენება, აღნიშნავდნენ, რომ რეკლამამ მათ ხელი შეუშალა. გაღიზიანება მით უფრო ძლიერი იყო, რაც უფრო მეტად მოსწონდათ ცდის პირებს ფილმი. აღმოჩნდა რომ „ხელშეშლილი“ მაყურებლები საერთო ჯამში უფრო მეტ ინტერესს იჩენდნენ რეკლამის მიმართ, ვიდრე ისინი, ვინც რეკლამა მხოლოდ ფილმის დამთავრების შემდეგ ნახა. ე.ი ბრაზი ზრდის (და არ ამცირებს) ყურადღებას გამღიზიანებელი ობიექტის, ჩვენს შემთხვევაში, რეკლამის მიმართ. მნიშვნელობა რეკლამის შინაარსსაც აღმოჩანდა.

მხიარული, სასაცილო რეკლამები უფრო ეფექტურია, ვიდრე საინტერესო, დაძაბული ან ნეიტრალური. სასაცილო უკეთ ამახსოვრდება მაყურებელს და ზემოქმედებს მისი, როგორც მყიდველის ქცევაზეც. თუ რა სახის რეკლამა როგორ მოქმედებს ადამიანზე, დამოკიდებულია იმ გადაცემებზე, რომელთა ფონზეც უშვებენ რეკლამას. რეკლამა უფრო ეფექტურია თუ ის ფილმის ან გადაცემის კონტრასტულია. მაგალითად, რეკლამა აღიქმება როგორც უფრო სასაცილო, მხიარული ან საინტერესო, როცა ფონს ქმნის ფილმი ბუნების შესახებ და არა დეტექტივი ან კომედია. ნეიტრალური რეკლამები უკეთ აღწერენ მიზანს, როცა მათ კომედიის ფონზე უშვებენ და არა დეტექტივის. მაყურებელი ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს რეკლამას, რომელსაც ფილმის დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებით დეტექტივის დამთავრების შემდეგ უშვებენ.

მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა რეკლამის ეფექტურობისთვის, მის ხარისხს აქვს. თუ რეკლამა ცუდი და მოსაბეზრებელია, მნიშვნელობა აღარ აქვს თუ სად და როდის გაუშვებენ მას.

გესო გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი

„შირაქის“ სკივრი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1959 WELI

● GAMGEA SVEBULEBASI TU BIBLIOTEKA, VER GAARKVEV!.. WITELWYAROSI 9 SASOFLO BIBLIOTEKA ARSEBOBS, ROMLEBIC SASOFLO SABWOEBIS ARMASKOMEBIS BIUJETZE ARIAN. IMIS GAMO, ROM GAMGEEBI YOVELWLIURAD KUTVNIL SVEBULEBASI GADIAN, SABWOEBS ARA AQVT SAKMARISI TANXEBI, ROM ASET DROS SEMCVLELEBS MISCEN ERTI TVIS GASAMRJELO, BIBLIOTEKEBI MTELI TVIT IKETEBA. MAGALITAD: ZEMO MACXAANIS BIBLIOTEKIS KAREBZE ASETI GANCXADEBAA: `A.W. 7 OQTOMBRIDAN 4 NOEMBRAMDE BIBLIOTEKA AR IMUSAVEBS, GAMGE SVEBULEBASIA~. ES GAUSAZLISI MDGOMAREOBA UKMAYOFILEBAS IWVEVS MKITXVELEBS SORIS. KARGI IQNEBA SASOFLO SABWOEBMA DA PARTIULMA ORGANIZACIEBMA GAMONAXON ISETI AMXANAGEBI, ROMLEBIC BIBLIOTEKARIS MOVALEOBAS MORIGEOBIT SEASRULEBEN, SAZOGADOEBRIVI DATVIRTVIS WESIT. ES XELS SEUWYOBS BIBLIOTEKIS MUSAOBAS DA MKITXVELTA SAYVEDUREBSAC ARAR MOVISMENT. SVEBULEBASI MXOLOD GAMGE UNDA GADIODES DA ARA BIBLIOTEKA!

● 1930-IANI WLEBIDAN ZEMO MACXAANSI BOSTAANT UBANSI TUTIS XEZE IZRDEBA MUXA. TUTIS XIS FURUROSI ARMOCENDA RKO, ROMELIC QARIS, AN FRINVELIS MESVEOBI MOXVDA DA FESVEBI GAIDGA. OMETRZE DIDI MUXA ASOLTILA, MAGRAM MAS SEXEBA AR AQVS MIWASTAN. MTLIANAD SAZRDOOBS TUTIS XIS FESVEBIS MIER NIADAGIDA MIREBULI SAZRDOTI.

● `KAVKASIONIS MTEBSI WELS NAADREVAD MOVIDA TOVLI, MTIDA IRMEBI BARIS WALEBSI CAMOVIDNEN. ALAZNIS WALEBIDAN GAMOMFRTXALI XARIREMI AXLA TAVS AFAREB TARIBNIS ZONASI, RELEEBSI ARSEBUL ZEZVNAREBS, XANDAXAN IVRI WALEBSI CADIS. KOLMEURNEEBI UKVE ORI KVIRAA NAXULOBEN MARTOD DARCENIL XARIREMS. ES AM MIDAMOEBISTVIS ISVIATI SEMTXVEVI AMITOM, ARAVIN GABEDOT MASZE NADIROBA. ERTAD GAVUFRTXILDET MARTOD DARCENIL IREMS, CVENI BUNEBIS ULAMAZES MSVENEBAS,~ _ WERS NADIROBIS SAXELMWIFO INSPEQTORI I. MAMAIASVILI.

● SOFEL ZEMO MACXAANIS MSROMELEBMA KARGI SACUQARI MIIRES. SAEQSPLUATACIOD GADAECA XUTOTAXIANI KETILMOWYOBILI SAMSOBIARO, ROMELIC DAKOMPLEQTDA KVALIFICIURI MUSAKEBIT. AXAL SAMSOBIAROSI GAXSNIS PIRVELIVE DRES PIRVELI VAJISVILI SEEZINA AXALGAZRDA TAMAR BENASVILS. ZEMO MACXAANELI MSROMELEBI DID KMAYOFILEBAS GAMOXATAVEN AXALI SAMSOBIAROS ADGILZE GAXSNIT.

● ERTI TVEA SASKOLO ZARI DAIREKA, SAXEGABRWYINEBULI BAVSEBI MERXEBS MIUSXDNEN, MASWAVLEBLEBI MSOBLIURI MZRUNVELOBIT SEUDGNEN MOVALEOBIS SESRULEBAS. ASEA QVEMO QEDSIC. MAGRAM SAYOVELTAO SIXARULS FRTEBS AKVECEBS IS GAREMOEBA, ROM QEDIS SOFLIS KOOPERATIVIS QSELSI DREMDE AR ISOVEBA MOSWAVLIS RVEULEBIBAS DA 5-E KLASIS SAXELMZRVANELOEBI `GEOGRAFIA~, `BOTANIKA~, `ISTORIA~ DA SXVA. SAWIROA, SOFLIS KOOPERATIVMA DROULAD GAMOASWOROS ES MDGOMAREOBA, RATA MOMAVALMA TAOBAM NORMALURAD ISWAVLOS.

● WITELWYAROS SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBA DID YURADREBAS AQCEVS SAVAWRO QSELIS GAFARTOVEBIS SAKITXS. AMITOM MOMXMAREBELTA UKET MOMSAXUREBIS MIZNIT MARTO MIMDINARE WLIS 8 TVESI GAIXSNA 5 MARAZIA DA 2 SASAUZME. MAT SORIS SAKOLMEURNEOBAZARSI GAIXSNA AXALI RKINA-KAVEULIS MARAZIA. GANSAZRVRULIA, WLIS BOLOMDE KIDEV GAIXSNAS ERTI SAVAWRO FARDULI.

● ZEMO MACXAANIS STALINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS WEVREBI TAVDADEBIT IBRZVIAN, ROM VALDEBULEBEBI GAANARDON. IMIS GAMO, ROM AXLA KOLMEURNEEBMA ORJER METIRZE AWARMOES, VIDRE 1954 WELS TITOEUL SAFURAJE ZROXAZE, GAMGEOBAM GADAWYVITA SOFLIS SASUALO SKOLIS 515 MOSWAVLES YOVELDRE UFASOD MISCES CXELI SAUZME 200 GR RZISA DA SAWIRO ODENOBIS SAQRISA DA PURIS SEMADGENLOBIT. MOSWAVLEEBI AM SIKETES UKVE REBULOBEN.

1973 WELI

● QARTVELEBS BEVRI TRADICIA DAUTOVES WINAPREBMA, RITIC VAMAYOBT. TRADICIEBI GAVAGRZELET, GAVALAMAZET, TANADROULOBAS DAVUKAVSIRET. MAGRAM CVENI WINAPREBIDAN ASE USNOD ARAVIS HQONIA KISRAMDE CAMOSVEBULI TMA DA CANEBZE SAZIZRRAD DAKIDEBULI BAKEBI. PIRIQIT, YVELAFERS TAVISI FASI HQONDA, ROGORC ESTETIKURAD, ISE MORALURAD. SAINTERESOA ULVASIS ISTORIAC... ARAVIS -VA VALDEBULEBT DRES AUCILEBLAD ULVASI ATARON, MAGRAM CVENS AXALGAZRDEBS IMASKI VETYVIT, ROM KACS ARASODES TMEBI MXREBAMDE AR HQONIA CAMOSULI. TMIS ASE GAZRDA QALEBS SESVENIS... RA SJOBIA LAMAZAD SEKREWIL TMAS, RAC ATAVISUFLEBS KACS `MAMAO MRVDELIS~ SEXEDULEBISGAN DA SAXES LAMAZ IERS AZLEVS... WINAPREBIS VAJKACUR TRADICIAS NU GAVCVLIT MOXETIALE MODAZE!~ - WERS JAFARIZIS SKOLIS DIREQTORIS MOADGILE GIORGI TOKLIKISVILI

სოფელ არბოშიკის მომღერალთა გუნდი თბილისში გასტროლებისას

● SIAMOVNEBIT DAVWERDIT WERILS, ROMELSAC DAVIWYEBDIT WINADADEBIT `WVELADOBA YOVELTVIURAD IZRDEBA ARBOSIKSI~ MAGRAM ES VER DAGVIWERIA. RATOM? IMITOM, ROM ARNISNULI SOFLIS 8 BRIGADIDAN GEGMA VER SRULDEBA. VIN GVARCXVENS? SAKITXAVI AI ES ARIS! SXVATA MIBAZVIT, TU LAZATIS GULISTVIS MAT AIRES GADIDEBULI VALDEBULEBA, MAGRAM DAIVIWYES, ROM RAKI IVALDEBULE, KIDEC UNDA SEASRULO. DAIVIWYES, ROM GEGMA KANONIA DA MISI SEUSRULEBLOBIS UFLEBA ARAVIS AQVS. RA ARIS CAMORCENIS MIZEZI? IS, ROM BRIGADEBI AR IYENEBEN SOCIALISTUR SEJIBREBAS - WARMATEBIS AMUBADLO SASUALEBAS. ROGORC SXVA BRIGADEBTAN, ISE SIGNIT GASLILI SEJIBREBA FORMALUR XASIATS ATAREBS, MOISUSTEBS SROMITI DISCIPLINA. ADGILI AQVS MWVELAVTA DENADOBAS DA BRIGADIREBIS DAUDEVROBAS. USULGULOBA DA SROMIS MECNIERULI ORGANIZACIIS UGULVELYOFA XDEBA. CAMORCENILI BRIGADEBIS BRIGADIREBI GULDASMIT AR IKVLEVEN MIZEZEBS DA GADAMWREL ZOMEBS AR MIMARTAVEN. ASEVE NAKLEBI DA ARASAKMARISI ARMOCNDA, GAMGEOBISA DA PARTIULI ORGANIZACIIS ROLI DA DAXMAREBA ARNISNULI BRIGADEBIS GAZLIEREBIS SAQMESI.

● KARGI SACUQARI ERGOT WITELWYAROELEBS. QALAQIS CENTRSI GAIXSNA MEQANIZEBULI TONE (GAMGE ILO YAWASVILI), SADAC DRESI TONANAXEVRAMDE QARTULI PURI CXVEBA. PRODUQTIS SAREALIZACIOD TONIS SENOBASIVE MOTAVSEBULIA MARAZIA, SADAC MOMXMAREBELI SIAMOVNEBIT IZENS CXEL-CXEL, GEMRIEL LAVAS-PURS. DREVANDEL GAZRDIL MOTXOVNASI TONE NAMDVILAD KARGI SACUQARIA CVENI GAMRJE MSROMELEBISTVIS. IGI MTLIANAD AKMAYOFILEBS QALAQIS MOSAXLEOBIS MOTXOVNILEBAS QARTUL PURZE.

(STILI DACULIA)

მოამზადა

ილია მარტყოფლიშვილმა

კროსვორდი



შვეულად: 1. რითი მკურნალობენ კურორტ ახტალაზე 2. “ბებერი ...” - ასე ეძახდნენ იოჰან სებასტიან ბახს შვილები ზურგს უკან 3. რომელ ცხოველს უწოდებდა ვლადიმერ ვისოცკი “თაგვების ანგელოზს” 4. ღვინის გამყიდველი ძველ თბილისში 5. იუპიტერის მეუღლე 6. ტვირთის ვერტიკალურად ასაწევი მანქანა 7. რა ქვეითდება შიდსის დაინფიცირების დროს 12. რას უწოდებენ საბუდარში ჩატოვებულ კვერცხს, რომლის გვერდით დედალმა სხვა კვერცხები უნდა დადოს 13. რას შეადარეს ტუბერკულოზის გამომწვევი მიკრობი 14. რეპტილია, რომელიც მედიცინის სიმბოლოა 15. რის გამოყენებას გულისხმობს აკუპუნქტურა 16. სოფელი მცხეთის რაიონში, ცნობილია XVI ს-ის ციხესიმაგრით 19. რუს ოლუზიონისტთა დინასტია. ფსევდონიმი აიღეს კონოთეატრის შუქრეკლამიდან 20. ფანტასტი მწერალი ... ბრედბერი 22. მდინარე საფრანგეთში 23. ტბა აფრიკაში. სიდიდით მესამე ვიქტორიასა და ტანგანიკის შემდეგ 24. არქტიკის მკვლევარი რობერტ ... 25. ერთგვარი თხილიანი კანფეტი 26. ღრუბლის ან ბამბის ფთილა 27. კინორეჟისორი ... იოსელიანი 29. ახალი თევზისგან მომზადებული წვნიანი

თარაზულად: 4. არქიპელაგი, სადაც იზრდება “ზღვის პალმა”, რომლის ნაყოფი 15 კილოგრამს იწონის 8. რომელი ტერიტორიის სახელით არის ცნობილი კონფლიქტი, რომელიც დაიწყო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 1988 წელს 9. ფრანგული ტერმინი. ნიშნავს შეხვედრას 10. რომის იმპერატორი, რომელმაც თავი იუპიტერად გამოაცხადა და საკუთარი ცხენის გაკონსულება მოინდომა 11. ტბა გარდაბნის რაიონში 12. ტბა დიდი ტბების სისტემიდან, რომელიც მთლიანად აშშ-ის ტერიტორიაზე მდებარეობს 14. რეპტილია, რომელიც მედიცინის სიმბოლოა 15. რის გამოყენებას გულისხმობს აკუპუნქტურა 17. იტალიის ეროვნული გმირი ... მოსულიშვილი 18. ადამიანის და ცხოველის კანის ზედა ფენა 19. სამშენებლო მასალა, რომლითაც ხის ძირებს ღებავენ 21. ორგანული ნივთიერება. ამზადებენ საღებავებსა და წამლებს 24. კარლო კოლოდის ზღაპრის გმირი, რომლის სახელი ხის კოჟრს ნიშნავს 28. ნახევარკუნძული მექსიკაში 30. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი: გვირგვინი, სკიპტრა, ტახტი 31. ზედაპირის ფართობით ყველაზე დიდი ტბა საქართველოში

გარდაიცვალა იმუნოლოგი თენგიზ ცერცვაძე

76 წლის ასაკში გარდაიცვალა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის გენერალური დირექტორი თენგიზ ცერცვაძე.

თენგიზ ცერცვაძე იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორი. 2020 წლის ოქტომბერში მას თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა Covid-19 ის პანდემიასთან ბრძოლაში ჩართულ რვა ექიმთან ერთად.

BBC-მ საქართველოში კორონავირუსის გავრცელების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ მომზადებულ სტატიაში: „როგორ დაეხმარა „სამი მუშკეტერი“ საქართველოს ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში“, დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე, მისი მოადგილე პაატა იმნაძე და შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელი თენგიზ ცერცვაძე შეადარა სამ მუშკეტერს, რომლებიც კორონავირუსს ებრძოდნენ.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მაყვალა გონაშვილს დედის

იზო ორმოცაძე-გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

გოდერძი და გია აბულაშვილები, ეთერ ფიცხელაური ოჯახთან ერთად ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი ბიძაშვილი, ყოფილი ორჯონიკიძის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი

თამაზ მიხეილის ძე ბიკაშვილი

და თანავუგრძნობთ მის მეუღლეს ნუნუს, შვილებს: გოჩას, გიას და მათ ოჯახებს. დაიკრძალა ქ. რუსთავში

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია თანავუგრძნობთ დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეებს, მამა-შვილს, ჯემალ და გია ბაღაშვილებს საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი წარმატებული ოჯახის, მეუღლის და დედის

მანანა პატარაია-ბაღაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანი“ და დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია თანავუგრძნობთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარეს, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს მაყვალა გონაშვილს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

იზო ორმოცაძე-გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

ელიას მონასტერში ბერების მიერ შექმნილი ნივთები

2 აგვისტოს ელია თეზბიტელის ხსენების დღე აღინიშნება. დედოფლისწყაროში მდებარე ელიას მთა პოპულარობით სარგებლობს ტურისტებში. იქ მოქმედი ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტერი ბოლო ხანს ძალიან განვითარდა. როგორც ჩანს, ბერები იქ საინტერესო ხელსაქმესაც მისდევენ და ულამაზეს ნივთებს ქმნიან. გაზეთი „შირაქი“ ერთ-ერთი ბერ-დიაკონის შემოქმედებას გაგაცნობთ.



დანიელ მიღდისელი *(ბერ-დიაკონი):* „დავიბადე თბილისში, თავდაპირველად ნაძალადევის რაიონში მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძარში დავდიოდი. უფლისკენ სვლა პატარაობიდანვე დავიწყე 13 წლის ვიყავი პირველად ეკლესიაში რომ მივედი. იქვე გამოვლინდა ჩემი მუსიკალური ნიჭიც და დავიწყე გალობაზე და ხალხურ სიმღერებზე სიარული. სკოლა ისე დავამთავრე, ჩემს თავს მომავალ საერო ცხოვრებაში ვერ ვხედავდი. რა პროფესიას მინდოდა დავუფლებოდი, ან რა უნდა მეკეთებინა, არ მიფიქრია. მინდოდა იურიდიულზე, ან საერთაშორისო ურთიერთობებზე ჩამებარებინა, მაგრამ დღევანდელი განათლების სისტემა ბევრ არჩევანს იძლევა. სამშენებლო ფალკუტეტიც მითითებული მქონდა და სწორედ იქ მოვხვდი. წარმატებით დავამთავრე და ინფორმატიკის გამოცდაზე ლექტორმა დახმარებაც კი მთხოვა სტუდენტებთან (გამოცდა არც ჩამიბარებია ისე დამიწერა 100 ქულა) შემდგომ კათედრაზე დარჩენაც შემომთავაზა, ყველაფერში დაგეხმარებიო, მაგრამ უფალს სხვა გეგმები ჰქონდა ჩემთან დაკავშირებით.

თბილისში ჩვენს ტაძარში ერთი მღვდელ-მონაზონი მოდიოდა. საოცარი პიროვნება და ბუმბერაზი ადამიანი, ახლა უკვე არქიმანდრიტია... ის რომ საკურთხეველში შემოდიოდა, ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს წირვის დროს წმინდანი გვესწრებოდა. სტიქაროსანი ვიყავი და ბერს რომ ვხედავდი, უდიდესი მოწიწება მეუფლებოდა, სიხარულით ვივსებოდი. შემდეგ ჩემს ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა. რადგანაც ვერ ვბედავდი ამ ნაბიჯის გადადგმას, ასაკი რომ მემატებოდა თითქოს ღმერთს სულ უფრო ვშორდებოდი. ამის გამო უფალმა ჩემს ცხოვრებაში დაუშვა განსაცდელი, რის შემდეგაც მიმახვედრა, რომ მისი გზით უნდა მევლო. მეც გამოვფხიზლდი და შეუდექი ამ ვიწრო და ეკლიან გზას!

– დედოფლისწყაროში როგორ მოხვდით, რატომ შეარჩიეთ ელიას მონასტერი?

– რაც შეეხება დედოფლისწყაროში გადმოსვლას, ელიას მონასტერში პირველად 2015 წელს მოვხვდი. ერში ყოფნისას კახეთის რეგიონში ვმუშაობდი და ერთხელაც ჩემი მეგობრის თხოვნით ჩამოვედით აქ. ამ მთაზე პირველად რომ ამოვედი გავიფიქრე, თუ ოდესმე უფალი ინებებს რომ ბერი გავხდე, ამ მონასტერში აღვიკვეცები მეთქი და ასეც მოხდა. ბერობა ყოველთვის მინდოდა ბავშვობიდან ვფიქრობდი. უფალმა ისმინა ჩემი თხოვნა და ვედრება. ეს კუთხეც განსაკუთრებულია ბერული ცხოვრებისთვის, რადგან საზღვრისპირა ეპარქიაა და განსაკუთრებით საჭიროებს სულიერ აღორძინებას და ეკლესიის გაძლიერებას. ელიას მონასტერი კი ნამდვილად არის ქიზიყის ფლაგმანი და მშვენება ჩვენი კუთხის. უიშვიათესი არქიტექტურით და ადგილმდებარეობით.

მონასტერი ისეთი ადგილია, სადაც აუცილებელია ბერს თავისი ხელსაქმე ქონდეს, ბერულ ცხოვრებაში ლოცვა და შრომა წარმოადგენს და გაიგივებულია ნავთან რომელსაც ორი ნიჩაბი სჭირდება, რათა ნაპირამდე მიაღწიოს. მხოლოდ ლოცვით, ან შრომით არაფერი გამოდის, ორივეს ერთად კი ადამიანი მიჰყავს საუკუნო განსასვენებელში. მეც წმინდა მამათა სწავლების მიხედვით გადავწყვიტე ხელსაქმით დავკავებულიყავი და დავიწყე ხის დამუშავება, ამ ხელსაქმის განვითარებაში კი დამეხმარა ჩემი მოძღვარი და მონასტრის წინამძღვარი იღუმენი პანტელეიმონი, რისთვისაც დიდად ვმადლობ უფალს და ჩემს სულიერ მოძღვარს

– ბავშვობისას თუ გქონდათ შემოქმედებითი უნარები?

– ერში მსგავსი ნიჭი არ გამაჩნდა ხელოვნების მხრივ „ნამდვილი ოროსანი“ ვიყავი. ეს ყველაფერი მონასტერში გამოვლინდა. გულსაკიდი ჯვარი, რომელსაც ვატარებდი, გამიტყდა და ახალი ჯვარი მჭირდებოდა. შემთხვევით ლამაზი ხის ნაჭერი ვიპოვე, საბედნიეროდ, მონასტერში ხის დასამუშავებელი დანებიც გვქონდა და ასე დაიწყო ყველაფერი. ის ჯვარი ახლაც შენახული მაქვს. მე ვფიქრობ და ასეცაა, ყველა ადამიანში არის ფარული ნიჭი რომელსაც გამოვლენა და განვითარება სჭირდება. ამაში უფალი გვეხმარება. ყველა ნიჭი, რომელიც ადამიანში არის სულიწმინდისგან მომდინარეობს. სიმართლე გითხრათ, ჩემი ნამუშევრები არ დამითვლია, რამდენიმე ათეული ალბათ რეალიზაციასაც ასე თუ ისე ვახერხებ მაგრამ ცოტა ჭირს მიუხედავად იმისა რომ საკმაოდ შეღავათიან ფასებში ვყიდი ჩემს ნამუშევრებს. ყველა ჩემი ნამუშევარი და წვრილმანი ნივთი, რაც ხეზე კვეთას შეეხება ჩემი მოფიქრებულია და პირადი დიზაინია. არ ვამბობ, რომ რამე ახალს ვქმნი. ბევრჯერ ყოფილა, რაღაც ორნამენტი მიკვეთია, შემდეგ კი ძველ ქათულ ორნამენტებში მინახავს იგივე. ეპოქსიდთან მუშაობას რაც შეეხება, პირველად ინტერნეტში ვნახე, ძალიან მომეწონა და შემდეგ მეც გადავერთე ამ საქმიანობაზე. აღმოჩნდა, რომ ძალიან საინტერესოა და თან ძალიან შრომატევადიც... ხოლო ჭადრაკის დაფები დამზადებულია კაკლისა და თუთის ხისგან, დეკორატიული გაფორმება კი ეპოქსიდის გამოყენებით.

– სამწუხაროდ, ჩვენი ეპარქია დაობლდა, ნაადრევად დაგვაკლდა მღვდელმთავარი, როგორ გაიხსენებთ მეუფე დიმიტრისთან ურთიერთობას?

– გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ მეუფე დიმიტრი მიეკუთვნება ისეთ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც იშვიათად იბადებიან. ასეთ ბერს (აწმყოში ვსაუბრობ ყოველთვის მეუფეზე, რადგანაც ქრისტიანული სწავლებით, ქრისტეში მცხოვრობი ადამიანი მუდამ ცოცხალია), იშვიათად შეხვდებიდით და ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც მას იცნობდა. ეპისკოპოსი, რომელიც არ ჩერდებოდა სულიერი ზრდის კუთხით. ის ყოველ დღე ვითარდებოდა. ის მეგობარი იყო, მასთან თავს ვერ იგრძნობდით, როგორც ეპისკოპისთან და იერარქთან. ეს ადამიანებში აღძრავდა ყველაზე დიდ კრძალვას, მათ შორის ჩემშიც. როდესაც ელიას მონასტერში პირველად ჩამოვედი, მახსენდება ერთი შემთხვევა: 2016 წელს მამა პანტელეიმონს დაურეკა და სთხოვა მონასტრის წევრები წამოეყვანა ჩვენი რაიონის საპატრიარქო სკოლაში დასახმარებლად. დასანგრევი იყო პატარა შესასვლელი. გამიხარდა, მეუფეს რომ დავჭირდით და მეგონა ის ისე დაგვხვდებოდა, როგორც ეკლესიაში ხვდებიან ეპისკოპოსს. სკოლაში შორიდან თვალი მოვკარი მეუფეს და ვიფიქრე, ეს რომელიმე მორჩილი იქნებოდა. ბერადაც ვერ წარმოვიდგინე, ისე უბრალოდ იყო შემოსილი სამუშაო ფორმაში, მძიმე სამუშაოებს თავად ასრულებდა. მაშინ მივხვდი, რომ მთელი მისი დიდებულების წინაშე, რასაც ეპისკოპოსი ჰქვია, ერთი უბრალო ქრისტეს ჭეშმარიტი უპოვარი ბერი იმალებოდა. აი ასეთი იყო და არის ჩვენი მეუფე. მან ღირსეულად აღასრულა სახარებისეული სწავლება. ღმერთმა იანუსვენოს მართალთა თანა. ამინ!

– გილოცავთ ელია თეზბიტელის დღეს, ელიაობა მნიშვნელოვანი დღეა დედოფლისწყაროელებისთვის...

– პირველ რიგში მივულოცავ ჩვენს უწმინდესს, რადგანაც მისი ანგელოზის დღეა, ჩვენს სამშობლოს ჩვენს ქიზიყს და სრულიად საქრისტიანოს ვულოცავ ელიაობას, გვფარავდეს და შეგვეწიოს წმინდა წინასწარმეტყველი.

ელიას მამათა მონასტრის ცხოვრება ისეთია, როგორსაც უფალი ითხოვს. თუ არ გამოგვდის, ვცდილობთ მაინც. განვითარების მთავარი მიზანი მონასტერში სულიერი აღორძინებაა, რაზეც ყოველდღიურად ვევედრებით უფალს, რომ გაამრავლოს ბერები საქართველოში. ჩვენს მონასტერში ადამიანი იმ ნუგეშს ნამდვილად მიიღებს, რისთვისაც აქ მოვა, ან რა რჩევაც დასჭირდება. სტუმრებთან საუბრისას დღეს მამა პანტელეიმონმა აღნიშნა, რომ ბერები გამოგვიყენეთ ერის ადამიანებმა თქვენს დასახმარებლად, სანამ შეგვიძლიაო. რაოდენ გულსატკენიც არ უნდა იყოს, სულიერი რჩევისთვის სულ უფრო ნაკლები ადამიანი მოდის დღეს მონასტერში. არადა, ნამდვილი სიბრძნე, რაც მსოფლიოში არსებობს და რაც სულიწმინდისგან გადმოდის, დღეს მართლმადიდებლურ ეკლესია - მონასტრებშია დაცული. და ყველაზე გულსატკენი ისაა, რომ ეს სიბრძნე ისევ ჩვენ, ბერებს გვრჩება და საფლავში მიგვაქვს ისე, რომ ვერავის ვუზიარებთ, მაგრამ დადგება დრო და ეს არც ისე შორსაა, როდესაც ყველა ადამიანს დაუდგება რწმენის მოთხოვნილების საჭიროება და ისინი აუცილებლად მივლენ მონასტერში...

ესაუბრა.

ილია მარტყოფლიშვილი

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

1972 (მიუნხენი) — შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო); ლევან თედიაშვილი (თავისუფალი)
1980 (მოსკოვი) — შოთა ხაბარელი (ძიუდო);
1992 (ბარსელონა) — დავით ხახალეიშვილი (ძიუდო); ლერი ხაბელოვი (თავისუფალი)
2008 (ათენი) — ზურაბ ზვიადაური (ძიუდო)
2008 (პეკინი) — ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო); მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული); რევაზ მინდორაშვილი (თავისუფალი)
2012 (ლონდონი) — ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო)
2016 (რიო დე ჟანეირო) — ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (თავისუფალი)
2020 (ტოკიო) — ლაშა ბექაური (ძიუდო)

იყიდება

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

ამინდი

ორშაბათი 05.08		სამშაბათი 06.08		ოთხშაბათი 07.08		ხუთშაბათი 08.08		პარასკევი 09.08		შაბათი 10.08		კვირა 11.08	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
31 °	20 °	30 °	19 °	28 °	17 °	27 °	17°	24 °	17 °	25°	17 °	25 °	16 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი